პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 37 (90), სამშაბათი, 6 ნოემბერი, 1945 წ. ფასი 1 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავს! დღეგრძელობდეს და ჰყვავოდეს ჩვენი დიდი სამშობლო!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავისათვის.

ძლევამოსილი ოქტომბერი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ქვეყანა პირველად მშვიდობიან ვითარებაში ხვდება თავის უბრწყინვალეს სახალხო დღესასწაულს— ოქტომბრის დიდი რევოლუციის 28 წლისთავს.

ოცდარვა წლის წინად დიდმა რუსმა ხალხმა რუსეთის ყოფილ იმპერიაში მცხოვრებ სხვა მოძმე ხალხებთან თანამშრომლობით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **ლენინისა** და დიდი **სტალინის** წინამძღოლობით დაამხო მემამულურ-ბურჟუაზიული საზოგადოებრივი სისტემა და შექმნა მსოფლიოში ყველაზე პროგრესიული საზოგადოებრივი წყობილება—საბჭოთა სახელმწიფო.

ეს იყო თანამედროვე ცივილიზაციის ყველაზე უმაღლესი მონაპოვარი, რომელმაც საფუძველი დაუდვა კაცობრიობის ახალ ისტორიას.

სწორედ ამ სახელმწიფომ—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა შეასრულა გადამწყვეტი როლი სისხლიანი აგრესიის ორი კერის—ბარბაროსული გერმანული ფაშიზმის და იაპონიის მილიტარისტული იმპერიალიზმის მოსპობაში და ამით იხსნა ხალხები მონობისაგან, კულტურა და ცივილიზაცია—დაღუპვისაგან.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მთელი სიცხადით კვლავ დადასტურდა საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების და მეურნეობის სოციალისტური სისტემის გადამწყვეტი უპირატესობა. საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში და ხალხთა მთელი ძალების მობილიზაციის საუკეთესო ფორმა ძლიერი მტრის მოსაგერიებლად და გასანადგურებლად ომის წლებში.

დიდმა ოქტომბერმა გზა გაუხსნა და ფართო სარბიელი გადაუშალა მილიონების ნიჭსა და უნარს. საბჭოთა წყობილებამ გამოავლინა და აამოქმედა ხალხის მანამდე მიმალული დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია, რამაც ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა აქცია უძლიერესი სოციალისტური ინდუსტრიის, მოწინავე კოლექტიური მიწათმოქმედების და მაღალი კულტურის ქვეყნად.

საბჭოთა წყობილებამ შეუქმნა ყველა მოძმე ერს პირობები არნახული ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი მტკიცე დასაყრდენი გახდა ხალხთა სტალინური მეგობრობა, ხალხთა ძმური თანამშრომლობა.

საბჭოთა წყობილებამ, სტალინური კონსტიტუციის ქვეყანამ, სადაც ყველა ერი, რასიული წარმოშობის მიუხედავად, თანასწორუფლებიანია, სადაც ერები ერთმანეთისადმი ღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით არიან გამსჭვალული, სადაც ყველა ერის შვილისათვის უზრუნველყოფილია უფლება შრომისა, უფლება განათლებისა, უფლება დასვენებისა, შესაძლებლობა მუდმივი ფიზიკური და სულიერი სრულყოფისა,— წარმოშვა უდიდესი მორალური ძალა — საბჭოთა პატრიოტიზმი, უძლიერესი სიყვარული საბჭოთა ქვეყნისადმი, მისი წარსულისა, აწმყოსა და მომავლისადმი.

სწორედ სტალინური კონსტიტუციის ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური უპირატესობის შეგნება აძლევდა დევგმირის ძალას, მოუდრეკელ სულიერ სიმტკიცეს საბჭოთა ადამიანს ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ღაჯახების დროს, როგორც ბრძოლის ველზე, ისე შრომის ფრონტზე.

ეს პატრიოტული შეგნება იყო წყარო მასობრივი გმირობისა, იმ საარაკო ვაჟკაცობისა, უშიშრობისა და გულადობისა, რომელიც ყველა ეროვნების საბჭოთა ხალხის შვილებმა გამოიჩინეს ფაშისტ ბარბაროსების წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის გაჩაღებულ გიგანტურ ბრძოლაში. სწორედ ამ შეგნებამ, ბელადის პირველ მოწოდებისთანავე, მთელი საბჭოთა ქვეყანა აქცია ერთ მთლიან მებრძოლ ბანაკად, კლდოვან ციხე-სიმაგრედ, რომლის სიმტკიცეს შეელეწა მტრის ჯოჯოხეთური სამხედრო მანქანა.

ჩვენმა ქვეყანამ ესოდენ ბრწყინვალედ გაიმარჯვა სწორედ იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობს ბოლშევიკური პარტია, რომელიც შექმნეს, გამოაწრთეს და განამტკიცეს ლენინმა და სტალინმა, საბჭოთა ხალხმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ მას წინ მიუძღვის სწორუპოვარი მხედართმთავარი და ბრძენი ბელადი—დიდი სტალინი.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა ადამიანი სამშობლოს სიყვარულთან ერთად თავის გულში განუყრელად ატარებს სიყვარულს ლენინ-სტალინის პარტიისადმი, სიყვარულს საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორისადმი, გენიოსი მხედართმთავრის დიდი **სტალინისადმი.**

გამარჯვებული და ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი, გამოვიდა რა ომიდან ფიზიკურად და სულიერად განმტკიცებული, კიდევ უფრო მეტი მხნეობით და ენთუზიაზმით ჩაება მშვიდობიანი შემოქმედებით შრომაში. და ახლა ჩვენი სამშობლო შეუდრეკელი ნებისყოფით მიემართება წინ კიდევ უფრო ბედნიერი და უფრო მზიანი მერმისისაკენ.

გიორგი ქუჩიშვილი

საოქტომბრო

გრგვინავს ორკესტრი!
გრიალებს ვაშა!
გამარჯვებათა
გუგუნებს მარში!
დროშათა ალი,
წითლად კაშკაშა,
ლივლივებს დილის
ლაჟვარდის ზღვაში!

მოდის, მოღელავს
მდინარე ხალხთა,
გუნდს ეჯიბრება
გუნდი სიმღერით,
დედა-თბილისი
მზით არაზრახდა,
გლოვა-სინანულს
მიეცა მტერი!

დიდება ხალხს და
ჩვენს გმირულ ჯარებს!
დიდება დანთქმულთ
ბრძოლისა ველად!
ჰქუხდეს, გრგვინავდეს
შერქვეშ თუ გარედ:
მრავალჟამიერ
ხალხთა ბრძენ ბელადს!

გიორგი კაჭახიძე

მათს ქუჩებში რომ სინათლე შეგეტანა

ვაზით მორთულ თქვენი სახლის აივნიდან
რახანია არ სმენია ხალხს ხმა შენი;
დღე შრომაში ისე როგორ გაივლიდა,
რომ არ გეთქვა რამე სულის აღმაფრენი!

აქ ხარ ისევ... ამ გარემოს ვინ გაგთიშოს
ამ ხალხივით გულსავსე და გულნათელი!
მოხვედ, კართან მოგაგებეს შენი პირმშო —
სულ პატარა, ვაჟი ქორფა, უდარდელი.

გსურს მას დღესვე ვაჟკაცური ძალა ჰქონდეს,
შენი კოცნა დაჩენია შუბლზე ვარდად.
თქვენ ყიჟინით რომ ავსებდით გაშლილ ფრონტებს,
ის აქ ნათელ რიჟრაჟივით დაიბადა.

დაჰყვა ჯანი და შემატა ოჯახს ლონე,
კარ-მიდამო მხიარული ხმით დაჰფარა.
შენც ხმა მისი ბევრჯერ ფრონტზე გაიგონე,
ის მოჰქონდა ნიავსა და ცოლის ბარათს.

გაბედულად მოგივლია ბევრი მხარე,
მხნე და მარჯვე ცოტა იყო შენთან განა?!
თქვენ აღებდით ტყვე ქალაქთა მძიმე კარებს,
მათ ქუჩებში რომ სინათლე შეგეტანათ.

დაგვიბრუნდი დიდ ბრძოლებში გამოცდილი,
კვლავ გველირსა ტალავერში ერთად ჯდომა!
რა გულსავსედ დაგიხვდა და შემოგცინის
ჩვენი ქვეყნის დალოცვილი შემოდგომა!

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქ. სსრ. რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა სიმონ ივანეს-ძე ჩიქოვანის კანდიდატურა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების საკითხი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. გ. ჯიბლაძემ წინადადება შეიტანა — წამოყენებულ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. სიმონ ივანეს-ძე ჩიქოვანის კანდიდატურა. ამხ. ს. ი. ჩიქოვანი — გამოჩენილი ქართველი პოეტი. საქართველოს შრომელი იცნობენ მას, როგორც მრავალი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოების ავტორს და აქტიურ საზოგადო მოღვაწეს. ლიტერატურის დარგში წარმატებითი მუშაობისათვის პოეტი ს. ჩიქოვანი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით — „კავკასიის დაცვისათვის“.

ს. ი. ჩიქოვანის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მწერლებმა რ. გვეტაძემ და შ. დადიანმა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება: „წამოყენებულ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პოეტ სიმონ ივანეს-ძე ჩიქოვანის კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში“.

სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მომავალი წლის ათ თებერვალს მოხდება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნები. ამ არჩევნებს საბჭოთა ხალხი ახალ ისტორიულ ვითარებაში ატარებს. ჩვენმა ქვეყანამ სწორუპოვარი მხედართმთავრის, ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი. იგი ამ ომიდან გამოვიდა უფრო მეტად შემჭიდროებული, უფრო მტკიცედ დარაზმული ბოლშევიკური პარტიის, დიდი მასწავლებლის — ამხანაგ სტალინის გარშემო და მთელ ძალთა და საშუალებათა სრული მობილიზაციით შეუდგა ფაშისტური ურდოების მიერ მოყენებულ ჭრილობათა მოშუშებას, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

ამ გრანდიოზულ, საკაცობრიო მნიშვნელობის გამარჯვებათა წყარო და საფუძველი იყო ხალხთა სტალინური მეგობრობა. სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხი გმირულად იცავდა თავის მიწა-წყალს, იცავდა თავის უდიადეს უფლებებს, რომელნიც ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი სტალინურ კონსტიტუციაში.

სამამულო ომმა ერთხელ კიდევ შეამოწმა საბჭოთა ხალხის—ჩვენი ქვეყნის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ძლიერება; ბოლშევიზმის ტრადიციებისადმი ერთგულებით აღსავსე საბჭოთა ხალხმა გაანადგურა ომის კერები როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში და დაიწყო მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. ამ ახალ ვითარებაში იწყებს ჩვენი ქვეყანა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადებას.

ახალი არჩევნები იქნება საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი დარაზმულობის მორიგი გრანდიოზული საყოველთაო დემონსტრაცია. არჩევნები კიდევ უფრო დარაზმავს ჩვენს ხალხს ახალ-ახალ ისტორიულ გამარჯვებათა მოსაპოვებლად ბრძენი ბელადის ამხანაგი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

არჩევნებამდე სამ თვეზე მეტი დარჩა. მთელს კავშირში ფართოდ არის გაშლილი არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობა. წინასაარჩევნო მუშაობის მთავარი ამოცანაა—„განვუმარტოთ ჩვენი საარჩევნო კანონი—„სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არჩევნების დებულება“ ყველა მშრომელს, განვუმარტოთ ყველა ამომრჩეველს მისი უფლება და მოვალეობა“ („პრავდა“). ეს მუშაობა არის საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

ამ საქმეში დიდია საბჭოთა მწერლის როლი. უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის არჩევნების დროს ქართველმა საბჭოთა მწერლებმა ფართო მონაწილეობა მიიღეს არჩევნებისათვის მზადებაში. ისინი აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდნენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ადგილებზე, ფართოდ აშუქებდნენ ჩვენს პრესაში ამ მუშაობას და დიდ დახმარებას უწევდნენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატების აგიტაციას, მათს წარმატებას არჩევნებში. წარსული საარჩევნო კამპანიის პერიოდში შეიქმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებებისა მოწინავე საბჭოთა ადამიანებზე, მათს შრომით მამაცობაზე, ხალხისადმი ერთგულ მსახურებაზე.

მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საბჭოთა მწერლის წინაშე უფრო ფართო ამოცანები ისახება.

საარჩევნო მზადება საბჭოთა მწერალს პრაქტიკული და შემოქმედებითი მუშაობის ფართო ასპარეზს უქმნის. მან უნდა იმუშაოს ენერგიის დაჭიმვითა და მთელი გაქანებით, რათა თავისი მხატვრული სიტყვით საპატიო ადგილი დაიჭიროს დიდ სახალხო კამპანიაში.

არჩევნებისათვის მზადება ახალ მასალასა და შთაგონებას მისცემს მწერალს. თვითეული მწერლის უნარსა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად მაღალმხატვრული იქნება მისი გამოხმაურება, რამდენად ინტენსიური და ეფექტიური იქნება მისი შემოქმედებითი მუშაობა.

ერთი აშკარაა—ამ დიდმა სახალხო არჩევნებმა, რასაც ახალ ვითარებაში მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მოძრაობაში უნდა მოიყვანოს მთელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრივობა, მან უნდა დარაზმოს ეს საზოგადოებრივობა ახალი ამოცანებისათვის საბრძოლველად და წარმოშვას ახალი შემოქმედებითი აღმავლობა, შთაგონება, ახალი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებნი.

საბჭოთა მწერალი ხალხის მსახურია; ის არის ნამდვილი სახალხო შემომქმედი. ამიტომ იგი ყოველთვის დროულად უნდა ეხმაურებოდეს ხალხის ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ამ შემთხვევაში მან უნდა გვიჩვენოს ის დიდი ცვლილებანი, რომელიც ჩვენი ხალხის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში მოხდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. მან უნდა გვიჩვენოს ის უსაზღვრო სიყვარული თავისი მთავრობისა და მშობლიური პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი**, რომლითაც აღსავსეა საბჭოთა ხალხი, რომლითაც აღსავსეა გული ყოველი საბჭოთა პატრიოტისა.



[illegible] საქართველოს [illegible] ბაღ-ვენახები. გორელიეფი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის ფასადზე. შესრულებული თამარ აბაკელიას მიერ.



სადარაჯოზე. სურათი მხატვ. **შალვა მამალაძისა.**

გრიგოლ აბაშიძე

ჩვენი ვაშაც ქართული

ჩვენი ოქროს აკვანი
ჩვენი კარგი მამული!
მთვარით გადავერცხლილი,
თვალწარმტაცი მთაბარი,
მობიბინე ჯეჯილი —
ზღაპრულ რაშის ფაფარი,
ტბად დამდგარი მინდორი.
ლაჟვარდგადახატული.

მთები ჭალაროსნები,
თოვლის ჩაჩქნიანები,
სიოს წყნარი ჩურჩული
უფსკრულებში დანთქმული,
ღელე ადიდებული,
დევის ღონით განთქმული,
და მქუხარე ჩანჩქერი
კლდეზე ნაჩქრიალები.

რქაწითელი ვაზები
მტევნებჩამოღვენთილი,
ნარინჯით და თურინჯით
დაზნექილი ტოტები.
ათასი წლის დათლილი
ბოლნისური ლოდები,
დაძანძული ჩუქურთმა,
კლდეში გამოკვეთილი.

მინდვრად ქვაც არსად არი.
წარსულს რომ არ გვაგონებს.
ბრძოლა იყო უწყვეტი
საქართველოს წარსული,
მუდამ ცეცხლში ბრუნავდ
მტრებით შემოგარსული
და მახვილით იცავდა
საოცნებო მთაგორებს.

გმირნი თავდადებულნი
განა იყვნენ ცოტანი,
ზოგს ტყვია მოერია,
ზოგს შავბნელი საკანი,
არ სჩანდა ასპარეზი,
არ იყო გასაქანი,
ჯაჭვით იყო დაბმული
ქვეყნად ცეცხლის მომტანი.

მაინც ბორკილგაყრილნი
მზისკენ ხელებს იწვდიდნენ,
მაინც არა ტყდებოდნენ,
ბევრი ჭირის მნახველნი ,

ერთ იმედად დაგუბდა
ხალხს რაც ჰქონდა ნაღველი,
ერთ სიწმინდედ დაგროვდა
ხალხს რაც ჰქონდა სიწმინდე.

სტალინ, ხალხთა ბელადო,
ეს სიწმინდე შენა ხარ,
შენ ხარ ქვეყნის ნათელი,
შუქი გაუქრობელი,
თავის გულის ცეცხლიდან
გზრდიდა ხალხი მშრომელი,
რომ მზის შუქი ნამდვილი
შენი მოსვლით ენახა.

უფრო დიდი არ ახსოვთ
ხალხებს სხვა ალტაცება,
შენი შუქით გამთბარი
ვერა რამ გააცივოს!
სტალინ, ქართლის გულიდან
აფრენილო არწივო,
შენი ფრთის ქვეშ ელირსა
ერებს დავაჟკაცება.

და როდესაც დაიძრა
მტრების ურდო ვერაგი,
როცა ალგვას გვიქადდა
დამპყრობელი მკვეხარა,
იდექ ცეცხლის გრიგალში,
წარბიც არ შეგეხარა,
და სიმტკიცე გფარავდა,
როგორც ჯაჭვის პერანგი.

მტრის ქალაქებს ხანძრები
გადახურე თაღებად,
ჩვენს სამშობლოს ჯავშანი
შემოავლე კედლებად,
შენ აჩვენე მტაცებლებს.
როგორ უნდა კვეთება,
როგორ უნდა ომი და
ხელში ხმალის აღება.

ახლა მტერი მოსისხლე
ფეხქვეშ გდია გართხმული,
ზღაპრად წავა, თქმულებად
შენი მთავარსარდლობა,
ყველა ხალხის დიდებას,
ყველა ხალხის მადლობას
გუგუნით უერთდება
ჩვენი „ვაშაც“ ქართული.

ახალი წიგნი ლენინზე

მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულმა გამომცემლობამ ამ დღეებში გამოსცა კრებული იმ მხატვრული ნაწარმოებებისა, რომლებიც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე იწერებოდა დიდი **ლენინის** ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. კრებულს შესავალი წერილის სახით დართული აქვს სიტყვა ამხანაგი **სტალინისა,** რომელიც წარმოთქმული იყო 1924 წელს, 28 იანვარს, კრემლის კურსანტების საღამოზე.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ოსტატებმა არა ერთგზის სცადეს გადმოეცათ ნათელი სახე ლენინისა, გადმოეცათ სახე ამ გენიალური გონების და ფოლადისებური ნებისყოფის ადამიანისა. ამ მხრივ მთავარ ყურადღებას იქცევს კრებულში დაბეჭდილი მოგონებანი მაქსიმ გორკისა. აქ მჭერმეტყველური სახეებით გადმოცემულია არა მარტო გარეგნული პორტრეტი ლენინისა, არამედ მთელი მისი შინაგანი სულიერი სიდიადე, მისი მაღალი პრინციპულობა და უძლეველი რწმენა რევოლუციის გამარჯვებისა.

ხსენებული კრებული შედგენილია იმ გვარად, რომ მასში ქრონოლოგიურად აღნუსხულია უმნიშვნელოვანესი თარიღები ლენინის ცხოვრებისა. ს. შჩიპაჩევის პოემა „სახლი შუშენსკოეში“, აგვიწერს ლენინის ცხოვრებას იმ ხანებში, როცა იგი გადასახლებული იყო მინუსინსკის ყრუ მხარეში. შემდეგ დაბეჭდილია ა. კონონოვის მოთხრობა „დღესასწაული“, რომელშიც აღწერილია ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ... მწერალი თხრობას იწყებს სადგურის მოედნის ასახვით: მუშები აღფრთოვანებით ხვდებიან ბელადს. „პროჟექტორის დამაბრმავებელი შუქი გაეკრა ჯავშნოსანს. ლენინმა მღელვარებით მაღლა ასწია ხელი. რომ ხელშიაც ქუდი ეჭირა. შემდეგ სწრაფი მოძრაობით ქუდი ჯიბეში ჩაიდო, ხელი წინ გაიშვირა და დაიწყო სიტყვა. რომელიც არავის არ ჩაუწერია და არც არავის დავიწყებია“.

ა. კორნეიჩუკის პიესის („პრავდა“) ნაწყვეტს სმოლნის ინსტიტუტში გადავყევართ; ლენინი რევოლუციის შტაბიდან მეთაურობს იერიშს ზამთრის სასახლეზე. აქ ნაჩვენებია როგორ ამზადებდნენ ლენინი და სტალინი ოქტომბრის დიად სოციალისტურ რევოლუციას. ცალკე თავები ა. ტოლსტოის მოთხრობიდან „პური“ გვიხატავს სამოქალაქო ომის მრისხანე წლებს, როცა ლენინი და სტალინი რაზმავდნენ მშრომელთა მილიონებს ინტერვენციის მოსაგერიებლად და ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის მტრების გასანადგურებლად.

კრებულში ყურადღებას იპყრობს ნაწყვეტი ვ. ივანოვის მოთხრობიდან „პარხომენკო“ და ორი სურათი ნ. პოგოდინის პიესიდან „კრემლის კურანტები“.

კრებულში წარმოდგენილია არა მარტო რუსული პროზა და პოეზია, არამედ აქვე არის რჩეული ნიმუშები მხატვრულ ნაწარმოებთა იმ ციკლიდან, რომელიც სსრ კავშირის მოძმე ხალხთა მწერლებმა შექმნეს დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. აქ წარმოდგენილია ჯამბულის, მაქსიმ რილსკის, იანკა კუპალას, სამედ ვურგუნის, სულეიმან სტალსკის, ნაირი ზარიანის, სალომეა ნერისისა და სხვა მოძმე რესპუბლიკათა პოეტების ლექსები. სამამულო ომის წლებში დაწერილ ლექსში „ლენინი ჯავშნოსანზე“ ქართველი პოეტი ილო მოსაშვილი ხატავს ლენინის გრანდიოზულ სახეს მებრძოლი და შეუდრეკელი ლენინგრადის ფონზე:

„ქუჩებს დახედავს ლენინის თვალი
და ძველ ჯავშოსანს სამკრად ჰფერავს,
დადგება ზედ და ბრძოლაში უხმობს
დიდი ოქტომბრის უწმინდეს კერას.
დადის, მის თვალზეც გამკრთალა რული
უვლის მოედნებს, აღვიძებს ღამეს
და ლოცავს მშობლის უკვდავი გულით
მტერზე მიმავალ შვილებს და მამებს.
როგორც ათასი ფოლადის პირი,
ათასი გული იწვის და ელავს,
ქალაქთა შორის—ქალაქი გმირი
მღელვარედ უსმენს საყვარელ ბელადს.
უსმენს და როცა უძილო ჩრდილი
ისევ მონახავს ბრინჯაოს ბინას,
ქალაქი-ციხე ადგება დილით
და მტერს აგემებს ცეცხლსა და რკინას“.

ეს წიგნი უძვირფასესი საჩუქარია საბჭოთა მკითხველისათვის იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა უდიდესი აღფრთოვანებით ზეიმობს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 28 წლისთავს.

ჰყვავის და იფურჩქნება ქართული ხელოვნება

უფრო ღრმა სურათოვნებით, უფრო მეტი ენამზიურობით

ოქტომბრის რევოლუციამ ქართულ მწერლობას დიდი და გიგანტური ნაბიჯი გადაადგმევინა, როგორც ხარისხობრივ, ისე შინაარსის მხრითაც.

ჯერ ერთი გააუხვა და გაამდიდრა ნაყოფიერება ქართული მხატვრული მწერლობისა, დარაზმა მთელი წყება ახალგაზრდა, თვალსაჩინო მწერლებისა პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და კრიტიკის სფეროში, მოგვცა ისეთი კადრები, რომლებიც შინაობაშიც სიყვარულით იხსენიებიან და საქართველოს გარეთაც, მთელს საბჭოთა კავშირში მოწონებას იმსახურებენ. მათი ნაწარმოებები ითარგმნება და იბეჭდება როგორც დიდი რუსეთის ცენტრალური პრესის ორგანოებში, ისე სხვა მოძმე რესპუბლიკების ენაზეც.

ამავე დროს, ქართველი მწერლის სახელი ამჟამად კიდევ უფრო საპატიო და საპასუხისმგებლო სახელია, ვიდრე ეს ყოფილა ოდესმე საქართველოში. ქართველ მწერალს ამჟამად შეუძლია იყოს პროფესიონალი მწერალი და არ მიმართოს ამ ხელოვნებას სასხვათაშორისოდ, როგორც ეს იყო ოქტომბრის რევოლუციის წინად, როდესაც ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული და განათლებითაც მაღალხარისხოვანი მწერალი იძულებული იყო ემსახურნა სადმე „კაზიონი პალატაში“ და თავის დღენი ჩაეღამებინა საკანცელარიო რეგისტრაციებში.

ეს დუხჭირი გარემოება ქართველი მწერლისა საბოლოოდ ჩაბარდა ისტორიას.

ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრით კი, რაც მთავარია, ქართველი მწერალი ამჟამად მოწოდებულია სწეროს რეალისტურად, ნათლად და გასაგებად, სწეროს ის, რაც მან კარგად იცის, რაც ხალხს გამოადგება ცხოვრებაში მრუდისა და მართლის გასარჩევად, გზის გასაკვლევად, სწორი, სოციალისტური შეხედულების განსამტკიცებლად.

უმიზნო მხატვრული წერა, მხოლოდ ხელოვნური ვირტუოზობისათვის მწერლური ვარჯიშობა ამჟამად თვით ცხოვრების მიერ უკუგდებულია და თითქმის არავის აღარ აკმაყოფილებს.

სწეროს ის, რაც ხალხს გამოადგება, შექმნას ხალხისათვის სასარგებლო მწერლობა, — აი რა ასწავლა ოქტომბრის რევოლუციამ ქართველ მწერალს და ისიც შეძლებისამებრ, კეთილსინდისიერად მიემართება ამ გზით.

კიდევ უფრო აამაღლოს ხარისხი მხატვრული მწერლობისა, სწეროს უფრო ღრმა სურათოვნებით, უფრო მეტის ენამზიურობით და შექმნას ჩვენი საამაყო ეპოქის შესაფერი, მონუმენტური ნაწარმოებები — ასეთია მოწოდება საბჭოთა მწერლისა.

შალვა დადიანი,
სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნარმტაცი პერსპექტივების ნინაშე

დიდი ოქტომბრის 28 წლისთავს ქართული თეატრი ახალი მიღწევებით და წარმტაცი პერსპექტივებით ხვდება. ქართული თეატრალური ხელოვნება იმდენად გაიზარდა, რომ იგი არა მარტო საქართველოს საზოგადოებრიობის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრალთა ყურადღების ცენტრში სდგას. ჩვენს თეატრებსა და მათ მუშაკებს, მათ მიერ შექმნილ სახეებს კარგად იცნობენ მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც კი.

ქართული თეატრალური ხელოვნების ასეთი ზრდა, მისი იდეურ-მხატვრული წინსვლა ნაყოფია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისა, პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიური დახმარებისა, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილის, დიდი **სტალინის** თანამებრძოლის **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** იმ განუწყვეტელი მზრუნველობისა, რომელსაც მთელი წლების მანძილზე უწევდა იგი ქართულ თეატრალურ ხელოვნებას.

მიმდინარე წლიდან იწყება ახალი საფეხური ქართული თეატრალური კულტურის ისტორიაში. ამას მოწმობს ისეთი ფაქტი, როგორიც არის ქართული თეატრალური საზოგადოების დაარსება: ამ საზოგადოებას მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები აქვს დაკისრებული. იგი მოწოდებულია აღძრას და გადასჭრას საბჭოთა თეატრის აქტუალური პრობლემები და მეცნიერულად გამოიკვლიოს, შეისწავლოს და დაამუშაოს ქართული თეატრის ისტორიის მეტად მდიდარი მასალა.

ასევე დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის არსებობა. უკვე ექვსი წელიწადია, რაც ეს ინსტიტუტი ქართული თეატრებისათვის ამზადებს მაღალკვალიფიციურ ძალებს — მსახიობებს და რეჟისორებს. ინსტიტუტში კურსდამთავრებულნი მუშაობენ არა მარტო დედაქალაქში, არამედ საქართველოს სარაიონო ცენტრებში. ბევრმა მათგანმა უკვე გვიჩვენა მაღალი მხატვრული მომზადება და შემოქმედებითი უნარი. მთავრობის დადგენილებით, წელს თეატრალურ ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა სამეცნიერო საბჭო, რომელსაც აქვს უფლება მიანიჭოს საკანდიდატო ხარისხი ხელოვნებათამცოდნეობაში იმ პირებს, ვინც სათანადო მეცნიერულ შრომას წარადგენს და დაიცავს. ცხადია, ეს ფაქტი ხელს შეუწყობს ხელოვნებათამეცნიერების განვითარებასა და აღმავლობას ჩვენში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქართულ თეატრს შეუქმნა ზრდისა და წინსვლის ყველა პირობა. ახლა ჩვენზე — ამ დარგის მუშაკებზეა დამოკიდებული თუ როგორ გამოვიყენებთ ამ პირობებს, როგორ გავამართლებთ ლენინ-სტალინის პარტიის, კერძოდ ხელოვნების დიდი მეგობრის, — **ლავრენტი ბერიას** ნდობას, იმ იმედს, რომელსაც ჩვენზე ამყარებს ჩვენი საზოგადოებრიობა.

აკაკი ხორავა,
სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ქართული ხალხური შემოქმედება

ქართული ხალხური შემოქმედება, განსაკუთრებით ხალხური სიმღერები უდიდეს ყურადღებას იპყრობენ თავის მრავალფეროვანებითა და მელოდიურობით. იგი უაღრესად მდიდარია თავისებური კილოკავებითა და კოლორიტის ორნამენტული ქარგებით. ხალხური შემოქმედების ეს ძვირფასი საგანძური, რომელიც ასეული წლების მანძილზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა, გამომზეურდა და ღირსეულად დაფასებული იქნა მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური მზრუნველობის მეოხებით გამოვლინდა და გაიფურჩქნა საუკეთესო ნიმუშები ხალხური შემოქმედებისა—მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნების და პოეზიის დარგში.

ოქტომბრის შემდეგ წარმოიშვა ახალი ფოლკლორი. მადლიერი ხალხი ადიდებს და უმღერის ჩვენი სამშობლოს გმირებს, უმღერის საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებათა ორგანიზატორს და სულის ჩამდგმელს დიდ **სტალინს.**

მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მიეცა უაღრესად ფართო გასაქანი თვითეული შემოქმედის ინიციატივას. ამან უაღრესად კეთილმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ახალი ფოლკლორის განვითარებისა და აყვავების საქმეზე. ხალხურმა მთქმელებმა, ხალხის წიაღიდან გამოსულმა შემოქმედთა მთელმა თაობამ თავის ქმნილებებში გამოხატა ახალი, თავისუფალი შრომა და ცხოვრება ბედნიერი საბჭოთა ხალხისა. იდეურ-მხატვრული აღმავლობის ამ ნათელ სურათს იძლევა თვით ქართული ხალხური შემოქმედება.

დიდმა სამამულო ომმა წარმოშვა მთელი ციკლი ახალი ხალხური ლექსებისა, სამწუხაროდ ეს ფრიად საინტერესო ნიმუშები ახალი ფოლკლორისა ჯერ ისევ ჩაუწერელი და გაფანტულია.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის წინაშე უდიდესი ამოცანებია დასმული. ჩვენ ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ და ხელი შევუწყოთ ხალხური შემოქმედის ნაყოფიერ მუშაობას, აქეთ არის მიმართული ჩვენი საკონსულტაციომეთოდური მუშაობა.

გრ. კოკელაძე,
საქ. ხალხური შემოქმედების რესპ. სახლის დირექტორი, კომპოზიტორი

ახალი ქართული მხატვრობა

დიდი ოქტომბრის შთაგონებით შეიქმნა მაღალი იდეებით შეიარაღებული ახალი ქართული მხატვრობა. ამჟამად საქართველოში ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა სამასამდე მხატვარი. ეს ფრიად სასიხარულო და ყველა ჭეშმარიტი პატრიოტის აღმაფრთოვანებელი მოვლენაა.

საბჭოთა გრანდიოზული მშენებლობის წლებში დავაჟკაცებული ქართველი მხატვრები ჰქმნიდნენ და ჰქმნიან დიდი მხატვრული ღირებულების და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაწარმოებებს, მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოს მხატვრებმა შეჰქმნეს დიდი **სტალინის** რევოლუციური, სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობის ამსახველი ისეთი ტილოები, რომლებიც დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობენ, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში, — მარტო ეს ფაქტი ცხადჰყოფს, თუ რა ღრმა იდეური და მხატვრული ევოლუციის გზა გაიარეს როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ფუნჯის ოსტატებმა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ქართველი მხატვრები საბჭოთა კავშირის მხატვართა მოწინავე რიგებში დგანან, რაც, უნდა ვიფიქროთ, რელიეფურად გამოჩნდება იმ გამოფენაზე, რომელიც 7 ნოემბრისათვის მოსკოვში იხსნება.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია არა მარტო ბუნებით, არამედ ნიჭიერი ადამიანებით. ჩვენი ქვეყნის დიდმა შვილებმა ასახელეს საქართველო. ჩვენც — ხელოვნების ქართველი მუშაკები უნდა გავხდეთ საქვეყნოდ ცნობილ ბუმბერაზ მოღვაწეთა ღირსეული თანამემამულენი. შევქმნათ ჩვენი სამშობლოს მასახელებელი და ჩვენი ქვეყნის დიდი შვილების შესაფერისი გრანდიოზული ტილოები. გავაორკეცოთ მუშაობა და მთელი თავდადებითა და ენერგიით ვემსახუროთ უძლეველ საბჭოთა ხალხს, ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

მოსე თოიძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ყალმის ხელოვანთა კერა

თბილისის სამხატვრო აკადემია დიდი ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვართაგანია ქართული კულტურის ფრონტზე; ის დაარსდა 1922 წელს მაისში. სამხატვრო აკადემიამ განვლილ წლების მანძილზე აღზარდა და მისცა ქართველ ხალხს სახვითი ხელოვნების—ყალმისა და საჭრეთლის მაღალკვალიფიციური, ფრიად თვალსაჩინო ოსტატები.

ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემია დაკომპლექტებულია საქართველოს საუკეთესო შემოქმედებითი და მეცნიერული ძალებით. 70-მდე მაღალკვალიფიციური პედაგოგი ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, არქიტექტურის და კერამიკის დარგებში ამზადებენ ქართული ხელოვნების კადრებს. აკადემიის მუშაობა უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ გაფართოვდა. ზოგიერთ ფაკულტეტთან, სახელდობრ, ფერწერის ფაკულტეტთან ოთხი სახელოსნოა ჩამოყალიბებული: პორტრეტის, ბატალურ ჟანრის, პეიზაჟური და თეატრალურ-დეკორატიული. უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის გაზრდილი კულტურული მოთხოვნილების შესაბამისად გარდაიქმნა აკადემიის ფაკულტეტთა პროფილები, ჩამოყალიბდა ინდივიდუალური სახელოსნოები, რამაც კარგი შედეგები მოგვცა: სტუდენტი მე-3 წლიდან ირჩევს ამა თუ იმ ჟანრს და შემდეგ ემაგრება ამა თუ იმ პედაგოგს სწავლის დასრულებამდე.

თბილისის სამხატვრო აკადემიამ გასულ წელს გახსნა მოსამზადებელი განყოფილება, სადაც აკადემიაში მისაღები კონტინგენტი მთელი წლის განმავლობაში ემზადება მხატვრულ დისციპლინებში. ეს ზომა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მთელ საქართველოში მხოლოდ ერთი საშუალო სამხატვრო სასწავლებელი არსებობს. ცხადია ის ვერ დაიტევს ყველა მსურველს. ამიტომაც აღძრულია საკითხი საშუალო სამხატვრო სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა, რის შემდეგაც მისაღებ კონტინგენტის დონე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდება.

უკანასკნელ წლებში გაუმჯობესებულია აგრეთვე სწავლების ხარისხი, გაზრდილია ფრიადოსანთა რაოდენობა, ამასთან დაკავშირებით აკადემიას უკვე ჰყავს სტალინის სახელობის სტიპენდიის ორი სტიპენდიანტი.

აკადემია სამამულო ომის წლებში დიდი თავდადებით მუშაობდა ფრონტისა და ზურგის მომსახურებისათვის. ბევრმა სტუდენტმა ისახელა თავი ფრონტზე და საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის მიიღო ორდენები და მედლები. თვით აკადემია ომის წლებში უშუალო მხატვრულ მომსახურებას უწევდა ჰოსპიტლებს და სამხედრო ნაწილებს.

მაგრამ ეს წარმატებანი ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნილებებს, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. ოქტომბრის რევოლუციის მე-29-ე წელს თავდადებით ვიბრძოლებთ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად და აკადემიის მუშაობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად. მშვიდობიანობის ეპოქაში კიდევ უფრო გაზრდილია ჩვენი ამოცანები. ჩვენი ვალია აღვზარდოთ კადრები, რომელთაც უნდა შეჰქმნან მონუმენტური ნაწარმოებები, ამსახველი დიადი საბჭოთა ეპოქისა.

უჩა ჯაფარიძე,
სამხატვრო აკადემიის დირექტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ქართული ქანდაკების აღორძინება

ქანდაკების ხელოვნებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ის განსაკუთრებით XII-XIII საუკუნეში — რუსთაველისა და თამარ მეფის ეპოქაში ჰყვაოდა. მაგრამ შემდეგში—საქართველოს არსებობის მძიმე კრიტიკულ მომენტებში მოქანდაკეობა დაქვეითდა და დაეცა.

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე მხოლოდ ერთი მოქანდაკე, იაკობ ნიკოლაძე ეწეოდა შემოქმედებითს მუშაობას და ისიც ძალიან მძიმე პირობებში. ხელოვნების ამ დარგს სხვა შესაფერისი კადრი არ ყოლია და არც ამ კადრების სამჭედლო ჰქონია.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავის არსებობის პირველ დღეებიდანვე უდიდესი ყურადღება მიაპყრო საერთოდ ხელოვნებას და კერძოდ ქანდაკების საქმეს. ამ დღიდან ეს საქმე ხდება პარტიისა და ხელისუფლების მუდმივი ზრუნვის საგნად: თბილისის სამხატვრო აკადემია, რომელიც 1922 წელს დაარსდა, გახდა მტკიცე დასაყრდენი საქართველოში ხელოვნების ამ მეტად მნიშვნელოვანი და რთული დარგის განვითარებისათვის. პარტიისა და ხელისუფლების ზრუნვამ მოქანდაკეობა გამოიყვანა მეცენატობის ვიწრო ჩარჩოებიდან, დააყენა მეცნიერულ სიმაღლეზე და მისცა განვითარების ფართო სარბიელი.

ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი **სტალინის** თანამებრძოლის **ლავრენტი ბერიას** უშუალო ყურადღებისა და დახმარების შედეგად მოქანდაკეობა ჩვენი კულტურის ერთ-ერთ დამამშვენებელ დარგად გადაიქცა. ის, რაც წინად რჩეულთა საქმე იყო, დღეს სახალხო საქმედ არის ქცეული. ხელოვნების ეს დიდი დარგი ჩაბმულია ხალხის სამსახურში.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი მოქანდაკენი გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ სამხედრო თემებზე, ძერწავდნენ წითელ სახელოვან მებრძოლთა და მეთაურთა უკვდავ სახეებს და ამით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ დიადი გამარჯვების გამოჭედის საქმეში.

ეხლა, როცა ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში შევიდა, ჩვენს წინაშე კიდევ უფრო ფართო შემოქმედებითი ამოცანებია დასმული და დიადი პერსპექტივები გადაშლილი. ჩვენ თავდადებით უნდა ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ დანგრეულის აღსადგენად, დიდი ომისაგან მიყენებული წყლულების მოსაშუშებლად.

დიდმა ოქტომბერმა ჩვენთვის შეჰქმნა შემოქმედების წამახალისებელი იდეურ-მორალური და მატერიალური პირობები, დიდმა ოქტომბერმა აგვიყვანა ჩვენ დიდი საზოგადოებრივი მოღვაწის სიმაღლეზე; უფრო ცხოვლად ავამეტყველოთ ჩვენი დიდი ეპოქის გრანდიოზული მოვლენები და ადამიანები ქვასა და მარმარილოში, გრანიტსა და ბრინჯაოში — აქეთ მოგვიწოდებს ჩვენ — ხელოვანთ, დღევანდელი ისტორიული დღე.

სილოვან კაკაბაძე,
სტალინური პრემიის ლაურეატი.



ინდუსტრიული საქართველო. მოქანდაკე თამარ აბაკელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

მარადი სიჭაბუკე

ოსტატმა ახალ შეგირდს ახედ-დახედა. ყმაწვილი ოდნავ შემკრთალი იყო. დიდრონ თვალებს გაოგნებულივით აცეცებდა ირგვლივ ჩამწკრივებულ დაზგებზე. მაღალი შუბლი ჰქონდა, ვიწრო ნიკაპი და რაღაც შინაგანი შუქით გაღვივებული ღაწვები.

ოსტატს არ მოეწონა მისი ნაზი ელფერით მოსილი გამომეტყველება და წარბშეკრით ჰკითხა:

— რა გვარი ხარ?

— სალურიძე... შოთა.

— ჰო... არა უშავს რა, მალე შეეჩვევი... ეს სულ სხვა ქარხანაა... აგერ, წაიკითხე ის წარწერა!

შოთა გრძელ დაზგას დააცქერდა. ჯერ რაღაც ბუნდოვანად შეიგრძნო რელსისებურ რკინაზე წარწერილი: „ამ დაზგაზე 1900 წელს მ. ი. კალინინი მუშაობდა“. მერე შეთეთრებულ კედელზე ჩამოკიდებულ სურათს აჰხედა და გაოცებით გაიფიქრა: „ეს ის კალინინია, გმირებს რომ ორდენებს ურიგებს!... ხედავ, სად ყოფილა უწინ!“...

ოდნავ შეუმსუბუქდა სიმძიმე, რომელიც ქარხანაში შემოსვლის შემდეგ თანდათან უფრო აწვებოდა. ახლა უფრო მშვიდად შეათვალიერა საამქროში მომუშავე ახალგაზრდები. ამათში ზოგი მისი კბილა იყო, ჩვიდმეტი წლისა, ზოგი კი—ორი-სამი წლით უფროსი. ყველანი მუშაობაში იყვნენ გართული, რაღაც რონდინის მსგავს ფოლადს ჩარხავდნენ. შოთა გუნებაში თავს შეურაცხყოფილად სთვლიდა: რა დიდი გარდატეხა ხდება მის ცხოვრებაში და ყურადღებას კი არავინ არ აქცევს! გამოეთხოვა სკოლის ამხანაგებს, უდარდელობას, ამიერიდან ქარხნის ამ გამუდმებულ გუგუნს უნდა მიჰყვეს და, ვინ იცის, სადამდის უნდა იაროს...

უცებ განგაშის ხმა მოისმა. მომუშავეებმა ჭვარტლიან თაღს ახედეს. გამურულ შუშაბანდში სინათლე მეტად მკრთალად გამოსჭვიოდა. მხოლოდ აქა-იქ მინა ჩამტვრეული იყო და ცის პატარა ნაჭერი მოსჩანდა.

1942 წლის აგვისტოს მრისხანე დღეები იყო. ჩვენი შეუპოვარი მეომრები კავკასიონის კარებთან მოძალებულ მტერს უმკლავდებოდნენ.

გამოჩნდებოდა გერმანელთა მზვერავი და დაიწყებდნენ მთები ქუხილს. ირგვლივ ცის გუმბათზე საზენიტო ყუმბარებისაგან გაჩენილი ღრუბლის ქულები ეკიდა.

განგაში შეწყდა.

ქარხნის ჩვეულებრივმა ხმაურმა შოთა როდი დაამშვიდა, ახლა უფრო ემძიმა აქ მოსვლა. რა კარგი იქნებოდა, რომ მფრინავი იყოს, ან ტანკისტი. პირდაპირ შეიჭრებოდა მტრის ბანაკში და... აქ კი ეს უსულგულო დაზგები და ღვედების მოსაწყენი შრიალი. მთელი დღეების განმავლობაში რაღაც რკინის ნაკრებს უნდა ჩასჩიჩინებდეს.

— ამხანაგო სალურიძე, ეს დაზგა...

შოთა ოსტატს შეაცქერდა. უნდოდა უხერხულობა დაეძლია და ახსნა-განმარტება გონებაში აღებეჭდა, მაგრამ მისდაუნებლიედ საამო ხმით მოუბარი ჭაბუკის ფართო, თაფლისფერი თვალების ელვარებამ მიიზიდა და სულ დაავიწყდა, რაც მისგან მოისმინა. იმდენად დაიახლოვა ოსტატის კეთილმა სახემ, რომ მოურიდებლად შეეკითხა:

— თქვენ დიდი ხანია აქ მუშაობთ?

— მე?!—გაიკვირვა ილიკო ბურჩულიძემ, მაგრამ მალე როგორც სჩვეოდა ხოლმე, ისე მოუყვა:

— რაც მე გამომივლია!... შენზე სულ შვიდი წლით უფროსი ვარ, მეტით კი არა, მაგრამ... მამაჩემს ხუთი ბავშვი ჰყავდა. მე ერთ შეძლებულ გლეხს მიმცა, უნდა ესწავლებინა. იმან კი მწყემსობა დამაწყებინა. მეც ავიღე და გამოვიპარე. აქ შეგირდად მიმიღეს. ხარატობა მალე შევისწავლე. მერე ჯარში გამიწვიეს. ფინეთთან ომში ვიყავი, ქვემეხის მემიზნედ, იქიდან რომ გამათავისუფლეს, ისევ ჩემს დაზგას დავუბრუნდი. შარშან კვლავ არმიაში უნდა წავსულიყავ, მაგრამ ბრძანება მოვიდა, მანდ იყავი, ფრონტისათვის იმუშავეო. მას შემდეგ ვიბრძვით აქ. ჩვენს ბრიგადას სირცხვილი არ უჭამია. ჩვენ კომკავშირელები ვართ, სტალინურ ვახტზე ვდგავართ, ეს არ დაგავიწყდეს. ახლა სამ თვეში შენც ოსტატი უნდა გახდე...

საოცარია, ილიკო ისე ლაპარაკობს, თითქო აქაც ხელჩართული ბრძოლა სწარმოებდეს, თითქო ეს გაბმული გუგუნი ომის ორომტრიალი იყოს.

მაგრამ აგერ შოთა დაზგასთან მარტო დარჩა და დრო თითქო გაიყინა, ან არა და, ისე მძიმედ მიზოზინობს, გეგონება, ეს უამრავი თუჯი და რკინა იქსოვსო თავის არსებაში.

შესვენების დროს საამქროდან გავიდა, ლიანდაგებზე ჩარაზმულ ბორბლებს ჩაუარა, სამჭედლოსთან შეუხვია. ერთის წამით მოვარვარე ქურებმა მიიპყრეს მისი ყურადღება, მაგრამ მალე სიცხემ გული შეუწუხა და მაღალი თაღებისაკენ გასწია, ჩრდილს შეეფარა.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ იგრძნო, რომ მასში რაღაც ახალი ინტერესი იღვიძებდა. დაზგის გამართვას თანდათან ალღოს უღებდა.

ამ დროს კომკავშირელთა ბრიგადებმა ახალი ვალდებულება იკისრეს. ხარატები ზეინკლებს ეჯიბრებოდნენ. საგანგებო განყოფილებაში მომუშავენი პირველობისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ.

— აბა, შენ იცი, ახლა, შოთაჯან. მიჰყევი პირწმინდათ.—უთხრა იმ დღეს ილიკომ და გამართული დეტალი გასაჩარხავად ჩააბარა, თვითონ მეორე დაზგისაკენ გაეშურა.

შოთამ ისეთი სიამაყე იგრძნო, თითქო ბრძოლის ველზე იმყოფება და საგუშაგოზე დააყენესო. ერთხანს გადაჭარბებულის გულმოდგინებით არ აშორებდა თვალს საჭრისს, მერე თავი ასწია და მახლობელ დაზგასთან მომუშავე ილიკოს გახედა, რომ უსიტყვოდ ენიშნებინა: ჯავრი ნუ გაქვს, აქ ყველაფერი რიგზე არისო. მაგრამ ილიკოს მისთვის არ ეცალა, საქმეში იყო გართული. იმ დაზგაზეც მოწაფე ჰყავდა და ოსტატის საქმეს აკეთებინებდა.

ილიკო ყველგან ასწრებდა, ყველას მაგალითს უჩვენებდა. თუმცა ოცდა ოთხი წლის ჭაბუკი იყო, მაგრამ ახალგაზრდები მას ისე უცქეროდნენ, როგორც ხანდაზმულ ოსტატს, რომელსაც საქმეც ჩინებულად ესმოდა და ფრონტზე ნამყოფიც იყო.

თვითონ ილიკოც იმშვენებდა ხანდაზმულობის იერს და ხანდახან, როცა რომელიმე ახალგაზრდას დაღლილობას შეამჩნევდა, ეტყოდა:

— ეს რაა, შენ ის უნდა გესახა, ჩვენ რომ კარელიის ყელზე 50 გრადუს ყინვაში მივხოხავდით და ტყვია სეტყვასავით მოდიოდა...

შოთას დაზგიდან თითქო რაღაც ახალი ხმა შეესმა. საჭრისს დახედა. ისევ ისე კრიალებდა რკინის მომწვანო ბურბუშელა და ნაჭერნაჭერ ცვიოდა, მხოლოდ საჭრისი ბოლომდის აღწევდა და საჭირო იყო დეტალის მეორე მხრიდან ჩადგმა. გადაწყვიტა ილიკო არ მოეცდინა, დამოუკიდებლად ემოქმედნა. მეტისმეტი სიჩქარით შეუდგა საქმეს. დრო თითქო ღვედების ელვისებურ ტრიალს აედევნა და ისე სწრაფად გარბოდა, რომ დაზგის გამართვას საშველი აღარ დაადგებოდა.

არ შეუმჩნევია, ილიკო რომ თავს წაადგა, [illegible] შეკრთა, დამნაშავესავით მიაპყრო თავისი დიდრონი თვალები.

— ყოჩაღ, შოთაჯან, ყოჩაღ!—გამამხნევებელი ხმით უთხრა ილიკომ და მხარზე ხელი დააყრდნო.—სწორედ ასე უნდა... მხოლოდ ეს მხარე ცოტათი მარჯვნივ უნდა დაიჭირო... ჰო, აგრე.. მერე კიდევ ესეც ასე უნდა მისწიო... დიახ... ფარგლით უნდა გამოზომო...

ილიკო ისე მიუთითებდა, თითქო კი არ ასწავლის, უკვე მოსაზრებულს უდასტურებსო. შოთა თუმცა ამას გრძნობდა, მაგრამ თავისი თავით მაინც კმაყოფილი იყო, რადგან რწმუნდებოდა, რომ სულ მალე მართლა დამოუკიდებლად შესძლებდა მუშაობას.

იმ დღეს ქარხნიდან გვიან გავიდა. სექტემბრის მთვარიანი ღამე იყო. ლამპრები ყველგან ჩაექროთ, მაგრამ ხიდიდან მთელი ქალაქი მოსჩანდა, ხოლო მთაწმინდას ისეთი ჩრდილი ჩამოჰფენოდა, თითქო აღმოსავლეთს თვალმოჩრდილული გაჰყურებსო.

სადგურის უკან, მოედანთან უნებლიედ შეჩერდა შოთა. აქ უამრავი ლტოლვილები იყვნენ,—როსტოვიდან, ყუბანიდან, ჩრდილოეთ-კავკასიიდან. თავიანთ ბარგებზე მიწოლილიყვნენ. მხოლოდ ზოგიერთი სთვლემდა, დანარჩენს თითქო სასაუბროც აღარა დარჩენოდა რა, გულნაღვლიანად სდუმდნენ. აგერ ფეხმორთხმულ დედას ბავშვი მკლავებზე დაუწვენია და არწევს, თან საბრალო ხმით ზუზუნებს რაღაცას. თვითონ იქნება ჰგონია, ნანას ვამბობო, შოთას კი შემაძრწუნებელი მოთქმა ჩაწვდა გულში.

ბევრი არ უფიქრია შოთას, ქალს მიეახლა და მორცხვად უთხრა:

— წამობრძანდით ჩვენსას, მოისვენეთ.

ქალმა უნდობლად აჰხედა, გაჩუმდა, ბავშვი მუხლებზე დაიწვინა. მერე თითქო ძმურად გაწვდილი ხელის სითბო იგრძნო და დარბილებული ხმით უთხრა:

— დიდად გმადლობთ, ჩემო კეთილო! სად უნდა წამოვიდე. აქ ჩვენები არიან. ხვალ საბჭოთა მეურნეობაში მივყვევართ...

შოთამ ბოდიში მოუხადა. მძიმე ნაბიჯით გაემართა შინისაკენ. მიდიოდა და თვალწინ ედგა ცეცხლმოდებული სოფლები და ქალაქები, უსახლკაროდ დარჩენილი დედები და ბავშვები... თავგანწირული ბრძოლა კავკასიონის მისადგომებთან... აჰ, ნეტავი მფრინავი იყოს შოთა, ან ტანკისტი! მაშინ იჯერებდა გულს... აქ კი მარტოოდენ დაზგები და ღვედების მოსაბეზრებელი შრიალი; ორთქლმავალთა ჩოჩხები და საამქროების შემურული თაღები...

დედა კარებში მიეგება,

— რატომ დაიგვიანე შვილო? ჯავრით აღარა ვარ... დღეს ბაზარში ისეთი ამბავი იყო...

სუფრაზე ვახშამს ულაგებდა და უყვებოდა, თუ როგორ აფორიაქებდა თბილისს ფრონტის მოახლოება.

ძილშიაც ვერ მოისვენა შოთამ. ხან თითქო რაღაც მორევში იძირებოდა და გასავალი ვერ ეპოვნა, ხან სადღაც მთებში იყო, ლოდს ეფარებოდა, ხელში შაშხანა ეჭირა და ფერდობზე ამომავალ ფაშისტებს ესროდა. ისინი მაინც მოიწევდნენ, დაცემულებზე ფეხს ალაჯებდნენ და არა ჰქონდა დასასრული კუპრივით შავი ტალღის დენას... ბოლოს შოთას კლდეზე ფეხი დაუცურდა, უფსკრულისკენ დაექანა. ამ დროს როგორღაც გაჩნდა იქ კალინინი, სწორედ ისეთი, დაზგის ზემოდ ჩამოკიდებულ პორტრეტს რომ ხედავდა ყოველდღე, ხელი ჩაავლო და ბილიკზე აიყვანა...

დილას, ქარხნისაკენ, რომ მიეშურებოდა, სადგურთან ლტოლვილების რიცხვი კიდევ უფრო გამრავლებული ეჩვენა. უმთავრესად ქალები და ბავშვები იყვნენ.

გორებს ამომავალ მზის შუქი ეფინებოდა, ნიავსაც ამ ახლობელი შუქის სითბო მოჰქონდა.

ჭიშკარში რომ შევიდა, ქარხნის უცვლელმა გუგუნმა სიმშვიდე მოჰგვარა. თანაც პირველად იგრძნო გარკვეულად იმ მწრთობელი ძალის ელვარება, რომელიც იდუმლად ანთია აქ და საყვირის ყოველ დაძახილზე რიჟრაჟის სხივებად ეფინება შორიდან შორს.

საამქროში ილიკოს სამუშაო უკვე მოემზადებინა. მესამე დღეა, ქარხნიდან არ გასულა. რამდენიმე საათით მიიძინებდა მხოლოდ საერთო საცხოვრებელში. უცებ წამოხტებოდა, ონკანს მიაშურებდა და პეშვით პირზე წყალს შეისხამდა. ვერ ამჩნევდა, მის ფართო თვალებს რომ ბეწვისებური ნაოჭები შემოეჯარა.

იმ დილას ილიკოს ქუთუთოები ეწვოდა, ჩამტვრეული მინიდან ცის ნაჭერს გაჰხედა და ნაზად მოლივლივე შორმა ნათელმა თვალები დაუამა. ამ დროს თავისი ექვსი თვის ბავშვი მოაგონდა. ნორჩი თითქო სათუთ ხელებს უწვდიდა, უღიმოდა. კარგი იყო ახლა შინ მისვლა, მაგრამ... არა, გეგმა გადაჭარბებით უნდა შესრულდეს, ომია, მთელი ძალღონე უნდა დასჭიმონ.

ეს რომ გაიფიქრა, საამქროში შემოსულ შოთას მოჰკრა თვალი, მიეგება, ხელი მოხვია, აღტაცებით უთხრა:

— აბა, შოთაჯან... ისეთი მუშაობა უნდა გავაჩაღოთ, რომ გეწაძეს და ნადირაძეს დავეწიოთ. ხომ გესმის? აქ ყველაფერი მომზადებულია, შენ მხოლოდ...

მალე შოთა ისე ჩაება საერთო ფერხულში, რომ დრო აღარ რჩებოდა გულში გაეტარებინა ის ნაღვლიანი ფიქრი, რომელიც წინათ უნებლიედ ეწვეოდა ხოლმე და ყმაწვილურ გატაცებებს მოაგონებდა. ახლა სიამაყით გრძნობდა, რომ დავაჟკაცდა, რომ დიდ საქვეყნო საქმეს აკეთებდა. ილიკოს არ შორდებოდა, ქარხნიდან ორ-სამ დღეში ერთხელ გადიოდნენ.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის ბრიგადამ გეგმა ორასი პროცენტით შეასრულა. შოთა ამ დროისათვის დაზგაზე უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა. ორთვენახევარში ოსტატის ხარისხი მიიღო.

ერთ დილას ილიკო და შოთა ქარხნის ეზოში ერთად შევიდნენ. გარემოს შემოდგომის ბურუსი ჩამოსწოლოდა. მილებიდან ამომავალი კვამლი ცისიერს ისე ეგრაგნებოდა, თითქო სჩქეფარე მდინარის ტალღები მღვრიე მორევს ერთვისო. რაღაც უსიამო დილა იყო

სხვა დროს შოთას ასეთი გულდახურული დილა რაღაც ბუნდოვან ნაღველს მოჰგვრიდა ხოლმე, მაგრამ ახლა თითქო შორს, მღვრიე მორევად ჩამოშვებულ ცის მიღმა გადაიხედა და ამომავალ მზეს გაუღიმა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ილიკოს მკლავი გამოსდო და მხარი მიაყრდნო.

— იცი, ილიკო, რა უნდა გითხრა?.. ჩვენ...

ენა დაება. დიდი, მეტად დიდი რამ ჰქონდა სათქმელი და ეგონა, რომ იგი უბრალო სიტყვებით არ გამოითქმებოდა... რომ ვერავითარი სიმდიდრე, ჩაცმა-დახურვა, გართობა ვერ მოგანიჭებს იმ ბედნიერებას, რასაც აი ეს შემოქმედი შრომა... შრომა, რომლითაც საუკუნეებიდან ამომავალ ოქროს ჯაჭვის ახალ რგოლსა სჭედ და მშობელი ქვეყნის დაულეველ წინსვლას უერთდები, ისე უერთდები, რომ მთელი შენი არსებით მასში სახიერდები.

ამ განცდას შოთამ მხოლოდ მაშინ უპოვნა გამოხატულება, როდესაც ქარხნის პარტკომის გვერდით ორ დიდ დარბაზში მიმოიარა. ეს სტალინის ოთახები იყო.

აგერ მეორე ოთახის შესასვლელთან დიდი ასოებით სწერია:

„ვიგონებ 1898 წელს, როცა მე პირველად მივიღე რკინიგზის სახელოსნოების მუშების წრე... მაგონდება, როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილი ამხ. სტურუას ბინაზე... აქ, ამ ამხანაგების წრეში მე მივიღე საბრძოლო პირველი რევოლუციური ნათლობა... როგორც ხედავთ, ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ... ნება მომეცით მათ ახლა გულწრფელი, ამხანაგური მადლობა გადავუხადო.

ი. ბ. სტალინი“.

შოთამ ეს წარწერა მეორეჯერ გადაიკითხა. ახლაც იმ ცხოველმა დიადმა გრძნობამ შეიპყრო, რომელიც მაშინ ილიკოს ვერ განუმარტა.

დარბაზში თვალი მიმოატარა. კარგახანს უცქირა ახალგაზრდა სტალინის ქანდაკებას, მერე ხელმარჯვნივ კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს დააკვირდა.

ანაზდად, თითქო მთის თხემზე ასულიყოს, შორს, ძალიან შორს გაიხედა.

და აზრი, რომელიც იმ წამს დაიბადა სავსებით მარტივი და ნათელი იყო: დიდი წარსულისა და დიდი მომავლის მწვერვალია აქ. აი ეს ნათელი სახე, ეს მაღლა ავარცხნილი, შუბლის მარცხენა მხარეს ჩამოშლილი თმა. ეს ანთებული თვალები, ეს ახალამოფეთქილი წვერულვაში, ეს ჭრელი ყელსახვევი და მთელი მისი სალკლდოვანი გამომეტყველება ცხოველმყოფელი გაზაფხულის მზესავით ანთებს. მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა. ასწლოვანი მუხები დაეცნენ. ის კი არ შეცვლილა, შეუდრეკლად მიდის წინ და მიაქვს თავისი წმინდა ნათელი.

ეს ნათელი აქ, ამ ქარხნის მუშებმა იხილეს პირველად.

მეც აქა ვარ, სტალინურ ვახტზე ვდგავარ...

შოთა ფანჯარას მიადგა, ჭადრის შეყვითლებულ ფოთლებს შორის გახედა სივრცეს.

ჰო, ყველაზე უძლიერესი ქარტეხილი ახლა მძვინვარებს, მაგრამ გავუძლებთ. ჩვენს თავგანწირულ ბრძოლასა და შრომას წინ მიუძღვის...

შებრუნდა, კვლავ ახალგაზრდა სტალინის სურათს დააცქერდა, ოდნავ გამხდარი სახე შინაგანი შუქით კიდევ უფრო გაუღვივდა, დიდრონ თვალებში რწმენის ნაპერწკალი აუკიაფდა და შთაგონებულად სთქვა:

— წინ მიუძღვის აი ეს მარადი სიჭაბუკე!



დისკუსია ჭიათურაში, 1905 წელს. სურათი ს. ნადარეიშვილისა



შეხვედრა ომგადახდილთან. სურათი ს. ნადარეიშვილისა.

ლექსები სამამულო ომზე

„საბჭოთა მწერალმა“ ამ დღეებში გამოსცა კრებული ირაკლი აბაშიძის იმ ლექსებისა, რომლებიც პოეტმა სამამულო ომის წლებში გამოაქვეყნა.

ლექსების ამ პატარა წიგნში ისმის განვლილი ომის ცხელი სუნთქვა, ისმის საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე გულისცემა. ამას მოწმობს წრფელი და უშუალო მხატვრული სახეები პოეტისა, ამაზე მეტყველებენ თვით ის ძუნწი წარწერანიც ყოველ ლექსის ბოლოს, რომლებიც გვაცნობებენ სად და როდის დაიწერა ეს ლექსები: „1942 წელი, მოსკოვთან“, „1942, III, ყირიმი, აკ-მონაი“, „1942, III, ყირიმი, ქერჩი“, „1942, შემოდგომა, ნალჩიკი“, „ვლადიკავკავი“ — აი მინაწერები ამ ლექსებზე. მაგრამ ეს არ არის მარტო უბრალო დღიური მოვლენებისა, ეს არ არის ცალკეული დოკუმენტური ჩანახატები, ეს წარწერანი მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ ქართული მუზა ქართული ლაშქართბანაკის მარტო სტუმარი კი არა, მუდმივი თანამგზავრი და თანამებრძოლი იყო, რომ საბჭოთა პოეზია იბრძოდა თავის ხალხთან ერთად. ამიტომ ასე ნამდვილი, ასე წრფელი, სადა და მიმზიდველია ამ ლექსების სახეები. ამ წიგნში შემოქმედებითად განცდილი და განხორციელებულია ის, რაც საკუთარი თვალით უნახავს პოეტს ცხარე ბრძოლების დღეებში, სამამულო ომის ფრონტზე.

მაქსიმ გორკი ამბობდა: „...უნდა სწეროთ სადათ, თითქოს გულწრფელად ესაუბრებით საყვარელ მეგობარს, რომელსაც არაფერი არ გინდათ დაუმალოთ, რომელიც თქვენს ნათქვამში ყველაფერს გაიგებს, ყველაფერს დააფასებს — ნახევარი სიტყვითაც რომ იყოს ის ნათქვამი. სიტყვის სისადავეში — ყველაზე დიდი სიბრძნე; ანდაზები და სიმღერები — მუდამ მოკლეა და სხარტი, მაგრამ მათში იმდენი ჭკუა და გრძნობაა, რომ მთელ წიგნებს ეყოფა“. გორკის ეს სიტყვები ჩვენის აზრით კარგად ხსნის ირ. აბაშიძის ფართოდ გახმაურებული პატარა ლექსის „კაპიტანი ბუხაიძის“ წარმატების მიზეზებს. ამ ლექსში გადმოცემულია სამშობლოს უკვდავი სიყვარულის გრძნობაც, სიჭაბუკის ენტუზიაზმიც, თავგანწირულებაც, არის გულისშემძვრელი ტკივილიც, — ნახევარი სიტყვით, ნუანსით, სადღაც სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა ნათქვამი:

„მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას
დღეს რომ გულზე დამაყარეს“.

და ყველაფერი ეს ნათქვამია ისე მოკლედ, ისე სადათ, როგორც ანდაზა, როგორც საფლავის ეპიტაფია. ეს გაუბრალოება კი არ არის, ეს სისადავეა. ხელოვნებაში, კერძოდ პოეზიაში ყველაზე ძნელია იპოვნო ზუსტი სიტყვები და დაალაგო ისინი ისე, რომ ცოტათი სთქვა ბევრი, რომ „სიტყვებს ევიწროებოდეთ სტრიქონში, ხოლო აზრებს ფართო გასაქანი ჰქონდეთ“, მხატვრული პოეზიის ამ უძირითადეს მოთხოვნილებას ირ. აბაშიძის ლექსები კარგად ასრულებენ.

კრებულის გადაკითხვა გვარწმუნებს, რომ ომის მძაფრი შთაბეჭდილებანი ღრმად, წარუშლელად შეჭრილან ირ. აბაშიძის პოეტურ ბიოგრაფიაში. აი პატარა სურათი, რომელიც პოეტს რომელიღაც გადამწვარ სოფელში უნახავს: ხის სახლები თითქოს დელგმითა და ზვავით წაშლილან, მხოლოდ ბუნდათ-ღა ბოლავენ ცივი და დანაცრებული ნაშთები ამ სახლებისა, ტრამალის ნამქერში მტრის თვითმფრინავი გდია, რომელიც მამაც სტალინურ არწივებს დაუნარცხებიათ მიწაზე. და პატარა ბავშვები—გუშინ რომ ჟრიამულით ალხენდნენ სოფლის ქუჩებსა და ჩიხებს — ახლა ფოლადის სვავს შემოჰხვევიან და ტირილით უშენენ მას სიცივისაგან გალურჯებულ პატარა მჯიღებს. ყველაფერი ეს ნათქვამია სულ თორმეტ სტრიქონში, მაგრამ შთაბეჭდილება დაუვიწყარია— ეს ტრამალის ნამქერში გახვეული ნასოფლარი, დალეწილი თვითმფრინავი, ატირებული ბავშვები — ომის საოცრად მართალი პეიზაჟია.

ამავე ცოცხალი შთაბეჭდილებითაა აღსავსე „როცა ბრანდენბურგს უახლოვდები“. ნალჩიკთან ომის დროს პოეტს გადამწვარი სოფლის ბოლოს ექვსი მოკლული გერმანელი უნახავს, რომელთაც სამხრეებზე ეწერათ: „ბრანდენბურგელი“. ისინი, ეს კაციჭამიები, ყოყოჩობდნენ, ქედმაღლობდნენ იმით, რომ ბრანდენბურგელები იყვნენ:

„ჩვენ იქ ისინი ომში გავიცნეთ
ნაღმთა გრიალში, ტანკთა სრიალში,
მათ შუბითიძე და ბუხაიძე
მოჰკლეს ჩრდილოეთ კავკასიაში“.

და იმ დღეებში, როცა საბჭოთა ჯარები ფაშისტური მხეცის ბუნაგს მიუახლოვდნენ — პოეტი მიმართავდა საბჭოთა მებრძოლს:

„მრავალ ქალაქის მოსპეს ძირ-ფესვი,
დაწვეს, დასტოვეს მხოლოდ ლოდები...
ეს გაიხსენე ეხლა ძვირფასო
როცა ბრანდენბურგს უახლოვდები“

ღრმა ლირიული განცდით არის დაწერილი „ვლადიკავკავში“. ლექსის პირველ ტაეპებში პოეტის შეშფოთება და დაღონება სჩანს: მტერმა ირგვლივ სოფლები გადასწვა, გაცოფებით და გამეტებით აწყდება იგი საქართველოსაკენ მომავალ გზებს. პოეტი სწერს:

„თითქოს მესმოდა ცეცხლის გუგუნი,
ქართლის ველიდან ზეცის თაღამდი...
მზე ჩადიოდა და მე მეგონა,
რომ საქართველოს ვეღარ ვნახავდი“.

და შემდეგ:

„სულ ახლო იდგა ხმლების კაშკაში,
ახლოს იწვოდა ცეცხლის კერია,
მაშინ უეცრად ვლადიკავკავში
მე დავინახე გზაზედ ბერია.
უცებ ქალაქში ვნახე ბერია,
ქუჩა ნაბიჯით დინჯად გადასჭრა...
მე შემოვხედე ჩვენსკენ დარიალს,
ვთქვი — საქართველო უკვე გადარჩა“.

დიდი **სტალინის** სახელოვანი თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი **ლავრენტი ბერია** ხსნის იმედად, გამარჯვების მაუწყებლად, კავკასიონთან მტრის ბნელი ურდოების განადგურების ორგანიზატორად მოევლინა იმ დღეებში საქართველოს და მთელ კავკასიას. ამ ისტორიული დღეების ლირიული განცდით არის აღბეჭდილი ზემოდმოყვანილი სტრიქონები.

სამამულო ომის თემაზე დაწერილ სხვა ლექსთაგან აღსანიშნავია „სამშობლო იყოს ჩვენი დიდება“, „პარტიზანები“, „მრისხანე ცხრაას ორმოცდაორი“, „ქართველი მეომრები“, „დაჭრილის ლექსი“, „მისვლა საზღვართან“, „ლესელიძის ხსოვნას“ და სხვ.

ასეთი მძაფრი და ცოცხალია პოეტის შთაბეჭდილებანი არა მარტო იმ ლექსებში, რომელნიც ფართო საზოგადოებრივ საკითხებს ეხებიან, არამედ წმინდა ინტიმურ ლირიკის სფეროშიც. დამახასიათებელია ამ მხრივ ორი ლექსი პოეტისა („მამა“ და „ყველა სიმღერა“), რომლებიც ამ წიგნის გამოცემის შემდეგ გამოქვეყნდა.

გიორგი ნატროშვილი

ვანო წულუკიძე

ბორის პასტერნაკის საღამოზე

ცნობილმა რუსმა პოეტმა ბორის პასტერნაკმა მთლიანად სთარგმნა ბარათაშვილი. ჩვენი დიდი პოეტის საიუბილეო დღეებში პასტერნაკი ესტუმრა საქართველოს დედაქალაქს და ბარათაშვილის ლექსების საკუთარი თარგმნების წარმოთქმით მონაწილეობა მიიღო დიდი ქართველი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმის მუშაობაში. ქართველი მწერლებისა და მკითხველების თხოვნით 24 ოქტომბერს მწერალთა სასახლეში გაიმართა მისი პოეზიის საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რამდენად ცხოველია ინტერესი ამ პოეტისადმი.

პასტერნაკის მკვეთრი ინდივიდუალობა რომელიც თავს იჩენს მის თარგმნებშიაც კი, დღემდე წარმოადგენს არა მარტო პროფესიული ლიტერატორების, არამედ ფართო მკითხველი მასების ღრმა ინტერესის საგანს. პასტერნაკის პოეტური მეტყველება ერთი შეხედვით ბუნდოვანი და გაუგებარია თვით მაღალი კვალიფიკაციის მკითხველისათვისაც კი. მიუხედავად ამისა, მას გულმოდგინედ კითხულობენ და კიდევ უფრო მეტი ხალისით ესწრებიან მის შემოქმედებითს საღამოებს. ყველა გრძნობს ძალას მისი პოეზიისას. ბევრს იზიდავს საიდუმლოება მისი პოეტური ფორმულებისა, ბევრი ცდილობს ჩაწვდეს და ამოიცნოს ისინი.

ცხადია ეს ინტერესი პასტერნაკის შემოქმედებისადმი არ იქნებოდა, რომ იგი ღრმა აზრსა და შინაარსს ყოფილიყო მოკლებული. პასტერნაკი ჩვენი საუკუნის, დიდი სოციალური და სულიერი ძვრების ეპოქის პოეტია და მასში, როგორც ღრმა ემოციებისა და ძლიერი ინტელექტის ადამიანში, თავისებური მხატვრული სახეებით გამოიხატა როგორც მძაფრი ქარტეხილი რევოლუციური ბრძოლებისა და მსოფლიო ომებისა, ისე დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა საბჭოთა ხალხისა. თემა რევოლუციისა და სოციალიზმისა, თემა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა სოციალისტური რევოლუციის, მატერიალური და სულიერი ცხოვრების გარდაქმნელ აღმშენებლობის ეპოქაში— აი ეს მთავარი თემა წარმართავდა პასტერნაკის შემოქმედებას. იგივე უნდა ითქვას კავკასიასა და საქართველოს გამო დაწერილ მის შესანიშნავ ლექსებზეც, სადაც ინტელიგენტის ოჯახური ყოფიდან მომდინარე მეტაფორებით და დეტალებით არის დახატული ბუნების სურათები.

მაგრამ ზემოხსენებული თემები ხომ საერთო, საყოველთაო თემებია თითქმის ყველა თანამედროვე პოეტისათვის, მთელი საბჭოთა პოეზიისათვის? ინტერესს იწვევს თუ როგორ, რა პოეტური ხერხებით სწყვეტს ჩვენი ცხოვრების ამ დიდ პრობლემებს ბ. პასტერნაკი, და რა სახის ადამიანად და შემოქმედად გვევლინება იგი თავის პოეზიაში. ამ კითხვაზე პასუხი სწყურია მკითხველს, ამიტომ იგი ინტერესით კითხულობს მას და ინტერესით უსმენს მის საჯარო გამოსვლებს. დაძაბული კითხვის და მოსმენის შემდეგ, უჩვეულოდ დალაგებული უცნაური მეტაფორების და მოულოდნელი, გასაოცარი ეპითეტების ბურუსში მკითხველის წინაშე გამოკრთება კონტურები მწიგნობარი ადამიანისა, თავისებურად მოაზროვნე პოეტისა, რომელიც იმდენად ობიექტურ სამყაროს კი არ ხატავს, რამდენადაც აღბეჭდავს თავის პირად შთაბეჭდილებებს და განწყობილებებს.

ბ. პასტერნაკის პოეტური მეტყველება მუსიკის პრინციპზე არის აგებული. პოეტი ერთმანეთთან აკავშირებს სიტყვებს არა მარტო მათი აზრობრივი მნიშვნელობის, არამედ მათი ბგერითი სიახლოვისა და ნათესაობის მიხედვით. ბგერა ერთერთი მთავარი ელემენტია, რომელიც ერთ სტროფად, ერთ სტრიქონად ჰკრავს უაღრესად სხვადასხვაგვაროვან ლექსიკონს მისი ლექსებისას. სიტყვების შერჩევა ბგერის ერთ გვარობის მიხედვით იწვევს ლექსიკურ მოულოდნელობას ბ. პასტერნაკის ლექსებში. პასტერნაკის სიტყვარი უაღრესად სუბიექტურია, ის მხოლოდ და მხოლოდ მას ახასიათებს. არჩევს რა სიტყვებს ბგერის, ფონეტიკის მიხედვით, ბ. პასტერნაკი ერთ სტრიქონში ან ერთ სტროფში თავს უყრის სულ სხვადასხვაგვარი სოციალური წარმოშობის სიტყვებს, ერთი მეორის გვერდით ათავსებს სოფლურ,—გლეხურ სიტყვას და რომელიმე მუსიკალურ ტერმინს, რკინიგზელის პროფესიულ სიტყვას და სამეცნიერო-მედიკურ ტერმინს. ლექსიკონის ასეთი სიმდიდრე და უჩვეულო შემადგენლობა მეტად ართულებს და აძნელებს ბ. პასტერნაკის გაგებას.

იმის ნათელსაყოფად, რომ პასტერნაკი ლექსს აგებს ფონეტიკური პრინციპით, რომ იგი აზროვნებს ბგერითი ასოციაციებზე დაფუძნებული სახეებით, — მოვიყვანოთ პოეტის მიერ დახატული ზამთრის დღის სურათი:

Теперь и тут некстати блещет скатерть
Зимы и тут в разрушенный очаг,
Как наблюдатель на аэростате,
Косое солнце смотрит натощак.

ან სტროფი მეორე ლექსიდან, სადაც დახატულია უბრალო ყოფითი სურათი (სამოვრის ადუღება) და სადაც **ზამარაემ**-ის და **ვმურუემ**-ის ბგერები იწვევენ მოულოდნელს და გასაოცარ მეტაფორას: სამოვარი-სამურაი:

Сейчас мы руки углем замараем,
Вмуруем в камень самоварный дым
И в рукопашный с медным самураем,
С кипящим солнцем, в комнаты влетим.

თვით ისეთ გრანდიოზულ მოვლენებს, როგორიც არის ომი, რევოლუცია, ან კავკასიის ბუნება, რომლის გადმოსაცემად სხვა პოეტები ხმარობენ ამაღლებულ, პათეტიურ სიტყვებს, პასტერნაკი გვიხატავს ჩვეულებრივი სასაუბრო ენით, პასტერნაკისათვის მისაღებია ყველა სიტყვა, თუ იგი აკმაყოფილებს ლექსის ფონეტიკურ-მუსიკალური აგების პრინციპს. ეს პრინციპი სჩანს არა მარტო ლექსისათვის სიტყვების შერჩევაში, არამედ სინტაქსსა და მთელს კომპოზიციაში. პასტერნაკის პოემებში, როგორც მუსიკალურ ნაწარმოებებში, ხშირად შეხვდებით მოტივების პარალელურ განვითარებას, ვარიაციებს, პაუზებს, ტემპების შენელებასა და აჩქარებას.

რაკი პასტერნაკის ლექსი და პოემა ასე უახლოვდება მუსიკალურ ნაწარმოებებს, ცხადია, მათ გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქნებიან ისინი წარმოთქმული. ეს საიდუმლოება მათი წარმოთქმისა ყველაზე უკეთ იცის თვით ავტორმა. მართლაც, 24 ოქტომბერს, საღამოს ბორის პასტერნაკი წარმოგვიდგა როგორც თავისი „მუსიკალური ნაწარმოებების უბადლო შემსრულებელი. მან ზეპირად წარმოთქვა რამდენიმე ლექსი ციკლიდან «Сестра—моя жизнь», «Второе рождение». ნაწყვეტები პოემიდან „სპექტორსკი“, „მარინა ცვეტაევას ხსოვნას“—ლირიკული აღსარებანი, რომლებიც, როგორც თვითონ განაცხადა, ბევრად უფრო სადა, რეალისტური და, მაშასადამე, უფრო გასაგებია, ვიდრე მისი ლექსები პირველი პერიოდისა. მაგრამ, როცა დამოუკიდებლად კითხულობთ თუნდაც ამ განმარტივებული, გაიოლებული სინტაქსით, რეალისტურად დაწერილ ლექსებს, ფონეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებულ მეტაფორიული ასოციაციების მთელი კრებულიდან გონებას მხოლოდ საერთო აზრი გამოაქვს, ცალკეული მეტაფორის აზრი და მნიშვნელობა კი მიუწვდომელი რჩება. ბ. პასტერნაკის წაკითხვა რამდენადმე ანელებს გაგების სიძნელეს; ავტორმა კარგად იცის, მისი ლექსის რომელი ადგილი რატომ არის მიუწვდომელი მკითხველისათვის, სცდილობს წარმოთქმით გაშიფროს იგი. ხაზს უსვამს ფონეტიკურ მხარეს, ინტონაციურად გამოჰყოფს ლეიტმოტივს პარალელური მოტივებიდან. ანელებს ან აჩქარებს ტემპებს და ამ გზით მსმენელის ცნობიერებამდე მიაქვს ის, რაც ბოლომდე არ არის თქმული ან განზრახ არის დაშიფრული მისი ლექსის მეტაფორულ წყობაში. ბ. პასტერნაკი შეიძლება შევადაროთ იმ მუსიკოს-კომპოზიტორს, რომელიც იმავე დროს თავისი ნაწარმოებთა ერთადერთი ვირტუოზული შემსრულებელია.

იმავ საღამოს პასტერნაკმა წაიკითხა ბარათაშვილის რამდენიმე ლექსის და სიმონ ჩიქოვანის ერთი ლექსის საკუთარი თარგმნები; და უნდა ითქვას, რომ ამ მხრითაც მას, თუ მეტი არა, ნაკლები შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. თარგმნებითაც მან დიდი თავისებურება და ორიგინალობა გვიჩვენა. ლექსიკურად და რიტმიულად პასტერნაკი შორდება დედანს და თარგმანს იმავე მუსიკის პრინციპზე აგებს. პასტერნაკს, როგორც მთარგმნელს, ზომიერების გრძნობა არ ღალატობს: ის უცვლელად სტოვებს დედნის აზრს, ამიტომ იქ დაშიფრული და დამალული არაფერია, მისი თარგმანი სავსებით გასაგებია მკითხველისათვის, თუმცა არავითარ შემთხვევაში დედნის ადეკვატურად არ შეიძლება ჩაითვალოს. ბ. პასტერნაკის თარგმანი არის დედნის არა ზუსტი გადმოცემა, არა ასლი, არამედ დედნის იდეის მხატვრული ინტერპრეტაცია, ზოგჯერ ამ იდეის გაშლა-გაღრმავება პასტერნაკის პოეტური ინდივიდუალობის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებით. იმ შემთხვევაში, როცა ბ. პასტერნაკი სთარგმნის ბარათაშვილის ისეთ ნაზ, კამერულ ლირიკულ პიესებს, როგორიც არის „ფორტოპიანოზე მომღერალს“ ან „ცისა ფერს“, მისი ექსპერიმენტი იძლევა დიდებულ წარმტაც ეფექტს, ხოლო როცა ბ. პასტერნაკი ამავე ხერხებით სცდილობს გადმოგვცეს „მერანის“ ტიტანიური სულის მღელვარება, მიზანი მიუღწეველი რჩება. ამ შემთხვევაში საქმეს პასტერნაკის შესანიშნავი წაკითხვაც ვერ შველის: შთაბეჭდილება მკრთალი და სწრაფწარმავალია.

მაგრამ რა ნაკლიც არ უნდა ახასიათებდეს პასტერნაკისეულ თარგმანებს, ისინი მაინც დიდად ნიჭიერი პოეტის მეტად საინტერესო და ბევრ შემთხვევაში ფრიად ნაყოფიერი ცდებია, რომლებიც არაქართველ მკითხველს აძლევენ წარმოდგენას ბარათაშვილის პოეზიის ხასიათსა და ძალაზე, აძლიერებენ და აღრმავებენ მასში ინტერესს ჩვენი სასიქადულო პოეტის—ბარათაშვილის შემოქმედებისადმი. გულითადი მადლობის მეტი ჩვენგან—ქართველთაგან ბორის პასტერნაკს არაფერი ეთქმის.

ბარათაშვილი და ევროპული რომანტიზმი

ალექსანდრე ჭეიშვილი

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება თუმცა არ შორდება ქართული ლიტერატურის ძირებს, არ სწყვეტს კავშირს ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ღრმად იჭრება დასავლეთ-ევროპულ და რუსულ რომანტიზმის იდეურ და ემოციურ სამყაროში, ვიდრე სხვა ქართველი რომანტიკოსები.

ნ. ბარათაშვილს სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა თუ მსოფლიო ლიტერატურის კორიფეების გალერეაში, არამედ თვით ქართველ რომანტიკოსთა დასის პოეტებს შორის. ერთ-ერთ სხვა წერილში ჩვენ შემთხვევა გვქონდა შევხებოდით ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დიდი ხნიდან დამკვიდრებულ მოსაზრებას, თითქოს ბარათაშვილის მერანში იგრძნობოდეს ადამ მიცკევიჩის პოემა-ბალადის „ფარისის“ ერთგვარი გამოძახილი. მიცკევიჩის პოემა-ბალადის გავლენა ბარათაშვილის „მერანზე“ დაუსრულებლად მცირე სიდიდედაც რომ ვიაზროთ ან სრულიად უარვყოთ, მაინც არ არის ერთგვარ ინტერესს მოკლებული იმ ისტორიულ-ლიტერატურული გარემოცვის შედარებითი განხილვა, რომელშიაც აღმოცენდა და გაიშალა ბარათაშვილის და მიცკევიჩის შემოქმედება.

ადამ მიცკევიჩის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა (გასული საუკუნის ოციანი წლები) ემთხვევა ერთობ მღელვარე წლებს პოლონელი ხალხის ცხოვრებაში. ეს არის პოლონელი ხალხის ნაციონალური თვითშეგნების გამოცოცხლების ხანა. ამ დროს სწარმოებს გაცხოველებული მზადება 1831 წლის აჯანყებისათვის, რაც დამარცხებით დასრულდა და რამაც დიდი გავლენა მოახდინა 1832 წლის შეთქმულების ბედზე საქართველოში. ამ საბედისწერო მომენტმა პოლონელი ხალხის ისტორიაში დიდად განსაზღვრა მიცკევიჩის მთელი შემოქმედება.

ბარათაშვილის მსგავსად, მიცკევიჩი დიდი ეროვნული გზნების პოეტია. ერთს ისტორიულ ბედ-ქვეშ მყოფ ხალხთა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებამ ორივე პოეტის შემოქმედებაში გამოიწვია თემატიური რკალის გაფართოება მონათესავე ლიტერატურული მოტივების, ფორმების და ჟანრების აღმოცენება და, **ბუნებრივია, აქ შეხვედრები ყოველგვარი მიბაძვისა და დაქვემდებარების გარეშე.** რაც შეეხება „მერანის“ და „ფარისის“ ურთიერთობას, გულისხმიერი შედარება ყველას დაარწმუნებს, რომ ეს მსგავსება მართლაც რაღაც ორიოდე გარეგნული შტრიხით ამოიწურება. „მერანში“ თვალბედითი შავი ყორანი უკან მისჩხავის ველად გაჭრილ მხედარს, „ფარისში“ პირსისხლიანი ძერა, მაგრამ ძალიან შორსაა ერთმანეთისაგან ამ ორი ნაწარმოების ძირითადი განწყობილება და განსაკუთრებით სახეების წყობა. „მერანის“ პირველ სტრიქონშივე ამოხეთქავს ის წრეგადასული აღმაფრენა, რომელიც ბოლომდე მისდევს ბარათაშვილის ამ შესანიშნავ ქმნილებას. პირველივე სიტყვები—„მირბის, მიმაფრენს“ ქმნის ამ ნიაღვარივით მიდენილ აღტაცებული ლტოლვის განწყობილებას; ქარი და წყალი, სიცხე-ავდარი, კლდე და ღრე სტიქიურ დაბრკოლებათა სახით აღიმართება ბედის სამძლევრის მიღმა მსრბოლავ პოეტის წინაშე.

მიცკევიჩის პოემა-ბალადა კი ასე იწყება: ფარისი (რაინდი არაბი) გულნებიერად ჰკაზმავს თავის ცხენს, ემზადება უდაბნოში გასამგზავრებლად. ქარიშხალი, კლდეები, როგორც განპიროვნებული რამ სტიქიური ძალები (ზღაპრული დევემირული ეპოსის პერსონაჟების მსგავსად) რიგ-რიგობით, როგორღაც გეგმისებური თანდათანობით წინ ეღობებიან ფარისს, შეებმიან მას, მაგრამ ფარისი ბოლოს სძლევს ამ სტიქიურ ძალებს, გაიმარჯვებს: სამყარო აღმოსავლეთით დასავლეთამდე ლაღად გადაიშლება მის წინაშე; გარდა იმისა, რომ „ფარისში“ სახეების სულ სხვა წყობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე „მერანში“, ბარათაშვილის ლექსში ეს აღმაფრენა გაშლილია სუბიექტურ სამყაროში, მიცკევიჩის პოემა-ბალადაში კი—გარეშე სამყაროში. „ფარისი“ ეპიური ნაწარმოებია, მერანი კი—ლირიკული. საერთოდ ნ. ბარათაშვილის ლექსებში ყოველი განცდა, ყოველი სახე, ყოველი სულიერი მოძრაობა განუყრელადაა დაკავშირებული ლირიკული გმირის საერთო განწყობილებასთან. ყოველი მოვლენა, საგანი, მისი პოეზიის არეში შემოსული, ამ სუბიექტურ პრიზმაში, ლირიკული გმირის შინაგან სამყაროში გადატყდება, მისი ფერით შეიღებება. აქ პოეტური სახეები უმთავრესად შინაგანი ხილვის და არა გარეგანი ჭვრეტის ნაყოფს წარმოადგენენ; თუკი აქ სადმე იგრძნობა შეხვედრა, ეს უპირველესად ყოვლისა არა სახეებში, ლექსის ფაქტურაში, არამედ იმ ემოციურ განწყობაში, რომელიც საერთოა, როგორც ბარათაშვილისა და მიცკევიჩისთვის, ისე მთლიანად რომანტიკოს პოეტთა მთელი თაობისათვის.

მაგრამ შევადაროთ ბარათაშვილის ლირიკის შედევრი „შემოღამება მთაწმინდაზე“ ევროპიული რომანტიზმის სხვა წარმომადგენლის—ა. ლამარტინის შედევრს „განმარტოება“, რომელიც მიცკევიჩის „ფარისისაგან“ განსხვავებით უკვე არა ეპიური, არამედ იმავე ლირიკული ჟანრის ნაწარმოებია. როგორც „შემოღამება მთაწმინდაზე“. შედარების საფუძველს ქმნის აქ მსგავსი კომპოზიციური ქარგა და ერთგვარი შეხვედრა სახეებში. ლექსის დასაწყისში სევდით მოცულ ლირიკულ გმირს ლამარტინის ლექსისას ვხედავთ მზის ჩასვლისას მთის მწვერვალზე. მუხის ჩრდილში მჯდომარე სევდით მოცული პოეტის თვალწინ იშლება თვალწარმტაცი პეიზაჟი; მდინარე, რომელიც აქაფებულ ტალღებს მოაქანებს ველზე, უძრავად გარინდებული, თითქოს ჩაძინებული ტბა. გოტიკურ სამრეკლოდან მოდენილი მწუხრის ზარის ხმა ერთვის მიწურულ დღის უკანასკნელ ხმებს, ჩრდილთა დედოფლის ბურუსით მოცული ეტლი ამოდის და ათეთრებს ცის ტატნობს.

მაგრამ ეს არის მაინც გარეგნული სურათი. პოეტის სულის გარეშე მდებარე ბუნების წამხიბლავი სურათის გამოკრთომა მხოლოდ უბრალო საბაბია პოეტის მჭმუნვარე მედიტაციის გასაშლელად ამ ქვეყნიურ ცხოვრების ამაოების და უაზრობის შესახებ.

— ამ მშვენიერი სურათის მიმართ მე გულგრილი ვრჩები, იგი მე არც მხიბლავს და არც მიტაცებს, მე ვუჭვრეტ დედამიწას, როგორც ცთომილი სული,—ამბობს პოეტი—ცოცხალთა მზე აღარ ათბობს მკვდრებს.

ლამარტინის ამ ლექსში არ იგრძნობა რაიმე სიახლოვე, ნათესაობა აქ გაშლილ ბუნების სურათებს და პოეტის ამ „ცთომილ სულს“ შორის, ამიტომ იგი ასე ადვილად იშორებს თავიდან ამ სახეებს, ადვილად სთმობს მათ, რომ ისევ უსასოების და სასოწარკვეთილების ზღვაში ჩაიძიროს.

ბარათაშვილის ლექსში კი ჩვენ ამის საწინააღმდეგო ტენდენციას ვამჩნევთ, იგი მისწრაფვის ბუნების მოვლენათა განპიროვნებისაკენ. საგნები და მოვლენები თითქოს ბუნების მთლიანობისაგან გამოკვეთილ პერსონაჟებივით დგანან მისი პოეზიის ლირიკული გმირის პირისპირ. „ვით მეგობარს, შესტრფის იგი წყნარ საღამოს, რადგანაც ისიც პოეტის სულივით „იყო მწუხარ და სევდიანი“.

მისის მწუხრი, მთაწმინდის ჩუმნი შემოგარენი, პოეტის გულს რომ ეთანხმებიან, გულდახურულთა მეგობარი მთა ღრუბლიანი, როგორც ცოცხალი პერსონაჟები გამოიკვეთებიან გარემყარიდან და პირისპირ უდგებიან დაფიქრებულად სერზე მდგომარე პოეტს.

ამ ლექსის საერთო განწყობილება მელანქოლიურია: პოეტის გულისთქმა ცის მიღმა ეძიებს სადგურს, „ზენართ სამყოფს, რომ დაშთის აქ ამაოება, მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!“

პოეტი თითქოს სრულ სასოწარკვეთილებას უნდა მიეცეს, მაგრამ მას მარტო არ სტოვებენ მისი უტყვი მეგობრები, და სევდა გადადის ნუგეშში, სასოებაში, თითქოს სულიერ მეგობრებით გარშემორტყმული დგას ფიქრებში ჩაძირული და გარინდებული პოეტი. მას შემოეხვევა მისის მწუხრი, ჩუმნი შემოგარენი მის გულს ეთანხმებიან, ისინი თითქოს თანაზიარნი ხდებიან პოეტის სულის სწრაფვისა, მარადიულისა და დაუსრულებელისაკენ, მასთან ერთად განიცდიან ტკივილს ამ მიზნის მიუწვდომლობის გამო.

„ჰოი, ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვფიქრობდი მე თქვენთა შორის,—ამბობს პოეტი და ეს „თქვენთა შორის“ ისე გამოისმის თითქოს იგი მართლაც ცოცხალ მეგობართა შორის იმყოფებოდეს.

ერთი შეხედვით, კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ თითქოს ოპტიმისტური დასასრული ბარათაშვილის მთელი რიგი ლექსებისა („შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრნი მტკვრის პირას“) მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეობრივი ვალის შეგნებით არის მობმული ამ ლექსების სევდით გამსჭვალულ სტრიქონებზე. სინამდვილეში კი ეს მხნე, ოპტიმისტური დასასრული ორგანიულადაა ამოზრდილი ამ ლექსებიდან. „გულდახურულთა მეგობარი“, „მთაცხოველი“, „ხან მცინარია“ და „ხან ცრემლიანი“ და ნ. ბარათაშვილის პოეზიის ლირიკული გმირიც არ იყინება ერთ უცვლელ, მელანქოლიურ განწყობილებაში:

ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ,
შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად,
როს ჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

ამიტომ განვიცდით განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილის ამ ლექსს როგორც ზარ-ზეიმურ სიმფონიას, რომ მისი მხატვრული სახეები ერთ დიდ ორგანიულ მთლიანობას, პოეტის სულის განუყრელ ნაწილებს წარმოადგენენ. ეს მწუხრის „ციაგნი ნელნი“, ეს წმინდა ტაბლასავით გაშლილი ველი, ეს სამადლობელი გუნდრუკთ კმევა ყვავილებისა, ეს „ნაზად მთარე“ დისკო გადახრით შუქ-მიბინდული მთვარე და მიჯნურივით მის კვალზე მავალი ვარსკვლავი, ნელად მქროლი ნიავის ღელეთა შორის კვნესა, პოეტის ფანტაზიით გამოკვეთილნი. ბუნების დიდი მთლიანობიდან კი არ ჰქრებიან და იკარგებიან, არამედ ბოლომდე ამ ლექსის-სიმფონიის დასასრულამდე დგანან მკითხველის თვალწინ.

ლამარტინის შესანიშნავი ლექსის სახეები კი, პოეტის ხილვით ერთის წუთით არარაობიდან გამოხმობილნი, მაშინვე ისევ არარაობაში ინთქებიან. მწერალიც და მკითხველიც მხოლოდ ერთის წუთით აპყრობს მათ გულისყურს, ისინი თითქოს უგზო-უკვლოდ ჰქრებიან და მათ ნაცვლად ახალი სახეები გამოკრთებიან, რომ მათ თამაშზე პოეტმა ახალ ასპექტში მოგვცეს თავისი სასოწარკვეთილების ფილოსოფია.

„რატომ ვრჩები მე დედამიწაზე, რომელიც განდევნის ადგილია ჩვენთვის; არაფერია საერთო ჩემსა და დედამიწას შორის. როცა ხის ფოთოლი ვარდება ველზე, მწუხრის ქარი მას იტაცებს და აშორებს მინდორს: და მეც ვგევარ გამხმარ ფოთოლს, გამაქროლე მეც მასავით ქარიშხლის სუნთქვავ“ — ასე ასრულებს თავის მჭმუნვარე ფიქრებს ლამარტინის ლექსის ლირიკული გმირი. აქ პოეტის სულში თითქოს მართლაც მზე ესვენება და მკითხველი ღამესა „სჭვრეტს უმთვაროსა“.

ნ. ბარათაშვილის ლექსში კი სწორედ ბოლო სტრიქონებში ამოდის სულიერი ბინდის გამფანტველი მზე.

„მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

მაშ რა არის საერთო ამ ორ ლექს შორის, რა ჰქმნის აქ შედარების, პარალელური განხილვის საფუძველს?

ეს არის ლირიკული გმირის ელეგიურ განწყობილებასთან შეთანხმებული, სათანადოდ მიგნებული, თუ ამ განწყობილებების შესაბამისად დანახული და განცდილი გარემო.

მელანქოლიური პეიზაჟი, ღამისა და მწუხრის პოეტური მოტივები. ნანგრევებისა და სასაფლაოს ლანდშაფტი, ან განმარტოვებული მთა, მწვერვალი, როგორც აუცილებელი ადგილი პოეტური ჭვრეტისა და მჭუნვარე მედიტაციისა ყოველივე ამ ქვეყნიურის წარმავალობის თუ „ციურ განგების“ საიდუმლოების მიუწვდომლობის შესახებ — ეს ის განწყობილებებია, რომლებიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუა წლებში აღმოცენდა ინგლისურ წინარომანტიულ პოეზიაში და აქედან ფრანგულ, გერმანულ და შემდეგ რუსულ მწერლობაში გადავიდა. ამ პოეტური სამყაროს ელემენტებს ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ვარიაციებში ვხვდებით თითქმის ყველა სენტიმენტალისტ და რომანტიკოს პოეტის შემოქმედებაში, ისინი თავისთავად ქმნიან მსგავს თემატიურ და კომპოზიციურ სქემებს, იწვევენ ზოგიერთ შორეულ შეხვედრებს მოტივებსა და მხატვრულ სახეებში.

მაგრამ ინერცია კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ზოგჯერ იმისთვის იყენებს ამ ისტორიულ-ლიტერატურულ კანონზომიერებას, რომ ერთი მწერლის შემოქმედება გენეტიურად დაუკავშიროს მეორე მწერლის შემოქმედებას, რომ ესა თუ ის შესანიშნავი პოეტური ქმნილება განუყრელად მიაჯაჭვოს სხვა მწერლის ნაწარმოებს. ბარათაშვილის შემოქმედების ბევრი მკვლევარის დაშვრა იმისათვის, რომ ბარათაშვილის ლანდი მსოფლიო ლიტერატურის ამა თუ იმ კორიფეის ჩრდილში მოესვენებია, ამ ცდებს დიდიხნის ისტორია აქვს. 1905 წელს გამოცემულ წიგნაკში „ბარათაშვილის ტომი“ ცნობილი ჟურნალისტი და კრიტიკოსი ილია ხონელი სწერს: „მას შეარქვეს და საფუძვლიანადაც „ქართველი ლერმონტოვის“ სახელი. იგი ცხოვრობდა და მუშაობდა ისეთ პირობებში, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მის პოეტურ ღვაწლს“.

ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიურ სიტყვარში მოთავსებულ ხელმოუწერელ წერილში ვკითხულობთ: „ბარათაშვილი (თავადი ნიკოლოზ მელიტონის-ძე 1816—1845) — ქართველი პოეტი. მძიმე პირადმა წარუმართებლობამ და უბადრუკმა გარემოცვამ მელანქოლიის დაღი დაასვეს პოეტის შემოქმედებას, რომელსაც „ქართველი ბაირონი“ შეარქვეს...“

ამგვარი ინერციის წინააღმდეგ ილაშქრებდა ბელინსკი თავის ცნობილ წერილში „ევგენი ონეგინი“; „არა მხოლოდ შინაარსი, არამედ სული ბაირონის პოემებისა სპობს ყოველგვარ შესაძლებლობას მსგავსებისა მათსა და პუშკინის ონეგინის შორის... ეს სუბიექტიური სული (ბაირონი — ა. ჭ.), ესოდენ ბუმბერაზი ამაყი და მოუდრეკელი, მიისწრაფოდა არა იმდენად მისი თანამედროვე კაცობრიობის ასახვისაკენ, რამდენადაც მის წარსულს და თანამედროვე ისტორიაზე მსჯავრის გამოტანისაკენ... მისი (პუშკინის — ა. ჭ.) თავისებურების და გენიალური ნიჭის ნიშანს ჩვენ იმაში ვხედავთ, რომ იგი, ერთგული თავისი ბუნების, რომელიც სავსებით საწინააღმდეგოა ბაირონისთვის ბუნებისა, ერთგული თავისი მხატვრული ინსტიქტისა, შორს იყო იქედან, რომ აჰყოლოდა ცდუნებას, შეექმნა რაიმე ბაირონისებური, როცა იგი სწერდა რუსულ რომანს...“

ჩვენი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსებიც მისდევენ ზოგჯერ ამ ცუდ ინერციას; ამათაც ხშირად შეუდარებიათ ნ. ბარათაშვილი ბაირონთან, პუშკინთან, ლერმონტოვთან, მიცკევიჩთან იმ მიზნით, რომ აღმოეჩინათ მათ შორის მსგავსება, რომ ეთქვათ ნ. ბარათაშვილი ჩვენი ბაირონია, ჩვენი ლერმონტოვია, ჩვენი მიცკევიჩი.

ჩვენის აზრით ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შედარება ევროპულ თუ რუსულ მწერლობის კორიფეების შემოქმედებასთან ერთხელ კიდევ ზედმეტად განაცდევინებს ყველა დაკვირვებულ მკითხველს თუ **რამდენად თავისებურია ნ. ბარათაშვილის პოეტური ინდივიდუალობა, მისი პოეზიის იდეური სამყარო, მისი მხატვრული სახეების სისტემა.** ნ. ბარათაშვილის შედარება მსოფლიო პოეზიის ამა თუ იმ კორიფესთან სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენი მკითხველის გულს, ათქმევინებს მას: იგი არის არა ჩვენი ბაირონი, ჩვენი პუშკინი, ჩვენი ლერმონტოვი; **იგი არის ჩვენი ბარათაშვილი, ისევე თავისებური და განუმეორებელი, როგორიც იყვნენ ბაირონი, პუშკინი და ლერმონტოვი.**

ნ. ბარათაშვილის პოეზიის ლირიკული გმირისათვის საცნაურია ადამიანის გულის ყოველგვარი ვიბრაცია, საწდომია ყოველგვარი ტკივილი, რომელიც კი აღმოცენდება ადამიანის გულის ხვეულებში, ამიტომაც ნ. ბარათაშვილის ლირიკული ინსპირაციისათვის ერთნაირად საწვდომია, როგორც თავისი ერის ტკივილებით გამოწვეული „ბედი ქართლისა“, ისე საფრანგეთის დიდი რევოლუციის მომდევნო რეაქციის ეპოქაში აღმოცენებული „მსოფლიო კაეშანი“ იმედდანთქმული პიროვნებისა. ამიტომაც ბარათაშვილის ამ ჰანგზე აჟღერებულ პოეზიაში დამოუკიდებლად აღმოცენდება ყველა ის განწყობილება, რომელიც ქმნიდა მაშინდელი ეპოქის სულს, რომელიც ასაზრდოვებდა როგორც ბაირონის, ისე პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის შემოქმედებას. აქედან მომდინარეობს, ერთის მხრით, მინორულ განწყობილებათა ფონზე მოცემული ღრმა ინტიმურობა, სითბო და გულწრფელობა ბარათაშვილის შემოქმედების ისეთი შედევრებისა, როგორიცაა „შემოღამება მთაწმინდაზე“, „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“, „ჩემი ლოცვა“ და სხვა და, მეორეს მხრით, ველად გაჭრილი მხედრის განცდა და სიმძაფრე, წრეგადასული აღმაფრენა. მქადაგებლის და წინასწარმეტყველის ვნებიანობა ისეთი ლექსებისა, როგორიცაა „მერანი“.



სიმინდის რჩევა. სურათი მხატ. ა. ციმაკურიძისა.



სტალინური პრემიის ლაურეატი რ. ი. აგლაძე. ქანდაკება ს. კაკაბაძისა.

„ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები“

ყოველ კარგ მსახიობს უნდა მოეთხოვებოდეს სამეტყველო კულტურის მაღალი დონე. სცენაზე წარმოთქმული სიტყვა უნდა იყოს მკაფიო, სადა, ძლიერი და გრძნობით აღსავსე. წარმოთქმის კულტურა უმთავრესი ფაქტორია თეატრის ჭეშმარიტი წარმატებისათვის, ამიტომაა, რომ სასცენო მეტყველება უმნიშვნელოვანესი დარგია თეატრალური ხელოვნებისა. ეს ის დარგია, რომლის მოწესრიგება განსაკუთრებულ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს თეატრის კოლექტივისაგან, ცალკეული მსახიობისაგან. ქართული თეატრის სინამდვილეში ამ მხრივ დიდი მუშაობაა ჩასატარებელი ჩვენში ჯერ კიდევ მეცნიერული კვლევა-ძიების საგანს შეადგენს იმ საფუძვლების დადგენა, რომელზედაც უნდა დაემყაროს ქართული მკაფიო მეტყველების პრაქტიკა. ამ თეორიული წინამძღვრების ჩამოყალიბება, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპებს უნდა გვაძლევდეს სამეტყველო კულტურის განვითარების საქმეში, ძირითადად ენის ფონეტიკურ კვლევა-ძიებას უნდა ეყრდნობოდეს.

ქართული კულტურული მეტყველების გამომუშავებისათვის საჭირო კვლევა-ძიების თითქმის ჯერ უვალ გზაზე თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დოც. მალიკო მრევლიშვილის შრომა: „ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები“, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ ბგერათა სისტემის ბუნების და თვისების გათვალისწინების საფუძველზე იმ ფიზიკურ შესაძლებლობათა დახასიათებას, რომელიც სასცენო წარმოთქმისათვის ქართველ მსახიობს მოეპოვება.

ავტორის მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებულმა პრაქტიკულმა და თეორიულმა მუშაობამ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან, აგრეთვე ქართველ ფონეტიკოსებთან მუდმივმა თანამშრომლობამ, მას საშუალება მისცა ზედმიწევნით შეესწავლა და გაერკვია ქართული მკაფიო მეტყველების თეორიული საფუძვლები და წარმოედგინა თავის გამოკვლევაში. შრომაში, სხვა საკითხთა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართულისათვის სადაოდ ქცეულ მახვილის საკითხს. ავტორი ადგენს, რომ „ქართული მახვილი ექსპირაციულია. იგი გამომჟღავნდება ხმოვანში ერთდროულად ორმაგი საშუალებით: გაძლიერებით და ამაღლებით. გახანგრძლივება მახვილიანი ხმოვნისა ქართულში არ ხდება და ამით არსებითად განსხვავდება ქართული მახვილის ბუნება რუსული მახვილის ბუნებისაგან“.

მ. მრევლიშვილის ეს გამოკვლევა გამოტანილი იყო, როგორც სადისერტაციო ნაშრომი საქ. მეცნიერებათა აკადემიის მარის სახ. ენის ინსტიტუტის სამეცნ. საბჭოს საჯარო სხდომაზე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დისერტაციის დაცვა შედგა 30 ოქტომბერს; ოფიციალურ ოპონენტებად გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. გ. ახვლედიანი და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი პროფ. ა. ღალავა.

პაექრობაში მონაწილეობა მიიღეს დოც. ს. ჟღენტმა, სსრკ სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ და სსრკ სახალხო არტისტმა აკ. ხორავამ.

პაექრობის დასასრულს, ენის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ფარული კენჭისყრით დოც. მ. მრევლიშვილს ერთხმად მიანიჭა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საღამო

31 ოქტომბერს კიროვის სახ. საქ. ინდუსტრიალურ ინსტიტუტში შედგა დიდი ქართველი პოეტის — ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

სრულ რვა საათზე ინსტიტუტის დარბაზი, მორთული საზეიმოდ, სავსე იყო პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტებით. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. გრ. სახოკიამ.

მოხსენება თემაზე „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გააკეთა ერ. ასტვაცატუროვმა. მოკლე და მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულმა მოღვაწემ პროფ. მ მაჭავარიანმა, ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა იასამანმა. სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტმა ს. კინწურაშვილმა. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტმა ვარლამ ჟურულმა და სტუდენტებმა მედეა შავლიაშვილმა და ქ. ისაკაძემ.

ამის შემდეგ მოეწყო საკონცერტო განყოფილება. დიდი პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს სტუდენტებმა—ლაბარტყავამ, ვ. მამუკელაშვილმა. ო. ნარჩემაშვილმა; ნ. ბარათაშვილის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა ს. ყანჩელმა, მ. ჯაფარიძემ, რესპუბლიკის სახ. არტისტმა ნ. ვაჩნაძემ; სიმღერები შეასრულეს ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა ბ. კრაველიშვილმა და ნ. ხარაძემ, იუმორისტული ნომრები შეასრულეს ოჯს. სახ. არტისტმა ემ აფხაიძემ და რეს. დამს. არტისტმა ვ. გოძიაშვილმა.

ბარათაშვილის დღეები პიონერთა სასახლეში

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე სამზადისს ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე შეუდგა.

ბარათაშვილის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლა, მისი ხანმოკლე, მაგრამ მშფოთვარე ცხოვრების გაცნობა. დამუშავება მთელი რიგი თემებისა ბარათაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ხელნაწერი ჟურნალისა და ლიტერატურული კედლის გაზეთის სპეციალური ნომრების გამოცემა,—აი რა სახის მუშაობა ჩაატარა ლიტერატურის კაბინეტმა (გამგე ქ. ანანიაშვილი) უკანასკნელი თვენახევრის მანძილზე.

ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად დიდი მონდომებით და სიყვარულით მუშაობდა აგრეთვე სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილება—მხატვრული კითხვის კაბინეტი და დრამატიული წრეები.

ექსკურსია პოეტის საფლავზე

მწკრივად დაწყობილნი, თაიგულებით ხელში გამოვიდნენ მოსწავლეები 14 ოქტომბერს პიონერთა სასახლის შენობიდან და აღმართს შეუდგნენ. გულისძგერით უახლოვდებოდნენ ბავშვები მწერალთა პანთეონს.

დიდი ქართველი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავიც გამოჩნდა. ბავშვები მოკრძალებით მივიდნენ პოეტის საფლავთან, გარსშემოერტყნენ მას და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს ძვირფასი ძეგლი.

თბილი და ბავშვური გულწრფელობით აღსავსე სიტყვებით მიმართეს საყვარელი პოეტის ნეშტს მოსწავლეებმა—გურამ ლომთათიძემ და გივი ხარაძემ. გრძნობით წარმოსთქვა ვაჟას ლექსი—„ნ. ბარათაშვილის ნეშტს“—ელისო ასათიანმა. ბავშვებმა წაიკითხეს აგრეთვე ილია ჭავჭავაძისა და გ. ლეონიძის ლექსები მიძღვნილი ბარათაშვილის ხსოვნისადმი.

თვით ნ. ბარათაშვილის ლექსი—„სული ობოლი“ წაიკითხა ქუქუნა წერეთელმა, ხოლო ჯონდო გაფრინდაშვილმა და ეთერი ფცქვლენიშვილმა საკუთარი ლექსები მიუძღვნეს პოეტს.

ბავშვებზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა ამ ლამაზმა ექსკურსიამ.

დიდი ლიტერატურული საღამო

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო პიონერთა სასახლეში 15 ოქტომბერს ჩატარდა. საღამო პატარა შესავალი სიტყვით გახსნა მოსწავლე ლეილა თაქთაქიშვილმა, რის შემდეგ წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ბარათაშვილის ცხოვრება“ (დიანა ივანიშვილი), „ბარათაშვილი—მებრძოლი პოეტი“ (ნუნუ ღვინეფაძე) და „ბარათაშვილის ლირიკა“ (გურამ კანკავა).

თბილისის რუსი მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა მე-4 ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლემ რატა გარბერმა, ხოლო სომეხი ახალგაზრდობის სახელით—როზა პეტროსიანმა.

მოხსენებების შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ინოლა გურგულიამ, იზა მჭედლიშვილმა და [illegible] ასათიანმა.

საერთო მოწონება დაიმსახურა ნორჩი პოეტის იზა მჭედლიშვილის სტრიქონებმა:

„თუმც შორს გაფრინდი, მაინც მოჰგვანა
დედა-სამშობლომ სამარე შენა
შავი ყორნისგან ღრმად ჩანათხარი,
ქარიშხლისაგან მკვიდრად ნაშენი...
მტერს მოგიტაცა ტანჯული შვილი
გადახვეწილი, გადაკარგული,
მშობლიურ ჰანგით დაგიტკბო სმენა,
დედობრივ გრძნობით გაგიღო გული.
და დღეს აქა ხარ, ჩვენს გულში ფეთქავ,
დაფნის გვირგვინით თავშემოსილი,
დიდების შუქით გაბრწყინებული
გმირ საქართველოს მებრძოლი შვილი.
წინათ ტანჯული სამშობლო ჰყავდი,
თავისუფალი და ბედნიერი
შენ შემოგცქერის, ტკბილად გიმღერის
განახლებული ქართველი ერი“.

მოსწავლე ახალგაზრდობით სავსე დარბაზი მოუთმენლად ელის მხატვრულ ნაწილს. ფარდის ახდისთანავე დამსწრეთა ყურადღებას იპყრობს სცენის მოკაზმულობა. სცენაზე წარმოდგენილია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ინტელიგენტის სასტუმრო დარბაზი, მორთული ხალიჩებით და სავარძლებით. ფართო ფანჯრიდან მოსჩანს ძველი თბილისის ხედი.

შემდეგ დაიწყო მონტაჟი, რომელშიც გააზრებულად იყო წარმოდგენილი ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსები (მონტაჟის ავტორებია ი. გეგეჭკორი და ან. ღვინიაშვილი).

ყველაზე საინტერესო იყო ფინალი: ძველი თბილისის ხედის ნაცვლად ჩამოეშვება პანო—ბარათაშვილის საფლავი მთაწმინდაზე, ხოლო სცენაზე მოჩანს პოეტის გაშუქებული პორტრეტი, შესრულებული ნორჩი მხატვრის გოგი თოთიბაძის მიერ.

მონტაჟის მონაწილეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან: მაყვალა შამათავა, თინა იაშვილი, თამაზ ფერაძე, ვახტანგ მოსიძე, რამაზ ჩხიკვაძე და სხვები.

აღსანიშნავია მონტაჟის რეჟისორის, მხატვრული კითხვის კაბინეტის გამგის ნოდარ ჩხეიძის მონდომებული მუშაობა.

მონტაჟში მონაწილეობას იღებდა ფილარმონიის მომღერალი მერი შილდელი.

საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო, მათ შორის იყვნენ: კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, მწერლები, თბილისის განათლების განყოფილების მუშაკები, სკოლების დირექტორები, მასწავლებლები, და მშობლები.

დამსწრე საზოგადოება საღამოს გულითადად შეხვდა.

ელენე აგლაძე



მოსავლის აღება. სურათი მხატ. მარგარიტა მეტრეველისა.

„ლიტერატურული ფურცელი“

კიროვის სახ. საქ. ინდუსტრიალურმა ინსტიტუტმა დიდი ქართველი პოეტის — ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოსცა პოეტისადმი მიძღვნილი ერთდროული გაზეთი—„ლიტერატურული ფურცელი“ გაზეთი დიდი ფორმატისაა, ორი გვერდისაგან შესდგება და ტექნიკურად ლამაზად არის გაფორმებული.

პირველ გვერდზე დაბეჭდილია: ნ. ბარათაშვილის „მერანი“, იასამანის ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, წერილები: დოც. მ კინწურაშვილისა — „ნ. ბარათაშვილი.“, ა. პ. ბოჯგუასი — „პოეტი გენიოსი“, სტუდენტ ს. კინწურაშვილისა — „ქართველი ხალხის პოეტური გენია“.

მეორე გვერდზე დაბეჭდილია პროფ. რუსუდან ნიკოლაძის, პროფ მ მაჭავარიანის, საბჭოთა კავშირის გმირის ასისტენტ ი. ციციშვილის. პროფ. ა. გულისაშვილის, პროფ. ვ. კაკაბაძის. პროფ. ლ. დიასამიძის, დოც. გ ქართველიშვილის, დოც. გრ. ესებუას და სტუდენტების: მ. შავლიაშვილის, ვ. მამუკელაშვილის, ო. ქაოსანიძის და კლარა ბეროძის მოკლე წერილები გრ. ესებუას ლექსი: „ბარათაშვილს“. სტუდენტების — ქ. ისაკაძის, მედეა შავლიაშვილისა და ო. ნარჩემაშვილის ლექსები.

გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორია მიხეილ კინწურაშვილი.

ინსტიტუტის ასეთი ინიციატივა მისასალმებელია. იგი ხელს უწყობს სტუდენტთა მხატვრულ-იდეური აღზრდის საქმეს.

აფხაზეთი

ხელოვნების ახალი ამბები

(ჩვენი სოხუმელი კორესპონდენტისაგან).

ახალი საკონცერტო დარბაზი

ახლო მომავალში ქალაქ სოხუმში გაიხსნება აფხაზეთის ფილარმონიის ახალი საზამთრო საკონცერტო დარბაზი, რომელიც დაიტევს 600-მდე მაყურებელს. ამ დარბაზში უმთავრესად კამერული მუსიკის კონცერტები გაიმართება.

პოემა „სიმღერა სტალინზე“

ოქტომბრის დიდი რევოლუციის 28 წლისთავისათვის აფხაზეთის მწერალთა კავშირი აფხაზურ და რუსულ ენებზე სცემს აფხაზეთის სახალხო პოეტის. ორდენოსან დიმიტრი გულიას ახალ პოემას — „სიმღერა სტალინზე“. პოემა რუსულ ენაზე სთარგმნა რ. ივნევმა.

„მსახიობის სიყვარული“

ახლო ხანში სოხუმის აფხაზური თეატრი მაყურებლებს უჩვენებს ნ. მიქავასა და გ. აბაშიძის პიესას „მსახიობის სიყვარული“

პიესა აფხაზურ ენაზე სთარგმნა შ ჰოჭუამ. პიესას სდგამს საქართველოს დამსახურებული არტისტი ბორის ფაჩალია. მთავარ როლებს ასრულებენ საქ. დამსახურებული არტისტი ლ. კასლანძია, ზუხბა, კოკოსკერია, ფაჩალია და სხვები.

ნ. ბარათაშვილის რჩეული ნაწერები აფხაზურ ენაზე

დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით აფხაზეთის მწერალთა კავშირმა აფხაზურ ენაზე გამოსცა ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა კრებული მ. ხაშბას რედაქტორობით.

ბარათაშვილის ლექსები და პოემები აფხაზურ ენაზე სთარგმნეს პოეტებმა—დ. გულიამ, ბ. შინქუბამ, ქ. აგუმაამ, მ. ხაშბამ, ს. ბღაჟბამ, ა. ჯონუამ და მ. ლაკერბაიამ.

ქართული ცეკვის ანსამბლის გასტროლები

აფხაზეთში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის ქართული ცეკვის ანსამბლი დამს. არტისტის ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

კონცერტები გაიმართა აფხაზეთის ფილარმონიის საზაფხულო თეატრში. სოხუმელ მაყურებელზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხურმა ცეკვებმა — „ფერხულმა“, „დავლურმა“ „ხორუმმა“, „ცერულმა“, „სამაიამ“, „კინტოურმა“ და სხვამ.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი,
გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 13. ტელეფონი 3-47-10. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
უე 08324
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.